სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 დეკემბერი 2003 №236 (2007) ფასი 50 თეთრი

აშვეთია სიზმარში, ლოკომოტივი მერვედფინალში

უკრაინულ - იტალიური დრამა რუსული დრიალით

REUTERS კიევიდან

REUTERS ლონდონიდან

დინამო — ინტერის ორივესთვის უსარგებლო ფრემ „ჰაიბერიზე“ მარცხნაჭამი რუსული „ლოკომოტივი“ არნახულ სიხარულს სწია

ქართველი ჩემი მეგობარია, მაგრამ...

იანის რაიგელის მაგარ-მაგრები საქართველოს მწვრთნელებსა და ჩემპიონატზე



...საქართველოს ჩემპიონატი, ნუ მიწყენთ და, ძალიან, ძალიან დაბალი დონისაა. საქართველოში რაღაც სხვანაირ კალათბურთს თამაშობენ.

...თქვენს ნაკრებს უდიდესი პოტენცია გააჩნია, უბრალოდ, ჩემპიონატი არ გივარგათ არაფრად.

...ვლადიმერ სტეფანია, ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, დავით უგრეხელიძე ტალანტები არიან, რომლებსაც ნიჭი ბუნებისგან დაჰყვათ და განა საქართველოს ჩემპიონატში თამაშით მიაღწიეს წარმატებას?!

...საქართველოს ნაკრებს ნამდვილად შეუძლია წარმატების მიღწევა. საამისოდ კალათბურთელები არ გაკლიათ, მწვრთნელი გჭირდებათ.

...დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ადრიატიკის ლიგაში ვერაფერი მოახერხა, როცა ხორვატიულ „ტრიგლავს“ წვრთნიდა. საქართველოს ჩემპიონატში კი კონკურენტი არ ეყოლება.

...ერთი ხეირიანი სპეციალისტი იყო საქართველოს ჩემპიონატში, ბათუმში მომუშავე პაველ გოოგე და ისიც წასულა.

...ქართველ მწვრთნელებს უყვართ კალათბურთი, მაგრამ უყვართ სმაც და ხშირად თამაშობენ დომინოს. მათი უმეტესობა ფულის გულისთვისაა კალათბურთში.

...ფული იმაში უნდა აილო, რაშიც პროფესიონალი ხარ, საქართველოს ჩემპიონატში კი პროფესიონალები არ არიან.

ინტერვიუ „სლოვანის“ პრეზიდენტ იანის რაიგელთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

ჯგუფური მატჩი. VI ტური. წუხელ

A ჯგუფი

ბაიერნი 1:0 ანდერლეხტი

1:0 მაკაი (42პ)

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი (შვაინსტაიგერი 78), კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ბალაკი, ზეერობერტო (სანიოლი 66), სანტა კრუზი, მაკაი, პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ანდერლეხტი: ზიტკა, ჟევლაკოვი (ვილჰელმსონი 63), ტიჰინენი, კომპანი, დეშახტი, ჰასი (იაშჩუკი 78), ზეტერბერგი, ბასეჯიო, ჰენდრიქსი (კოლარი 85), დინდანე, მორნარი

მწვრთნელი: უგო ბროოსი

გაფრთხილება: ტიჰინენი, ზეტერბერგი, ბასეჯიო, მაკაი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

52 000 მაყურებელი

ლიონი 3:2 სელტიკი

1:0 ელბერი (6), 1:1 ჰართსონი (24), 2:1 ჟუნინიო (52), 2:2 სატონი (76), 3:2 ჟუნინიო (86პ)

ლიონი: კუპე, რეველიერი, ედმილსონი, კასაპა, ბერტოდი (კარიერი 77), ჯ. დიარა, მალუდა, ჟუნინიო (პ. მიულერი 89), ელბერი (დორასო 87), გოვუ, ლუინდულა

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

სელტიკი: ჰედმანი, მიალბი, ბალდე, ვარგა, გრეი (უოლეესი 68), მილერი, ლენონი, პეტროვი, სატონი (კენედი 80), ჰართსონი (სილა 68), ლარსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ლენონი, ჰართსონი, ბალდე

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

38 659 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ლიონი	6	3	1	2	7:7	10
ბაიერნი	6	2	3	1	6:5	9
სელტიკი	6	2	1	3	8:7	7
ანდერლეხტი	6	2	1	3	4:6	7

„ლიონი“ და „ბაიერნი“ გავიდნენ მერვედფინალში, „სელტიკი“ უეფას თასზე

B ჯგუფი

არსენალი 2:0 ლოკომოტივი

1:0 პირესი (12), 2:0 ლიუნგბერგი (67)

არსენალი: ლემანი, ტურე, კემპბელი, სიგანი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (კანუ 75)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ბაშინინი, ლეკხეტო, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, ბუზნიკინი (გურენკო 46), აშვეთია (პარკსი 46)

ასათიანი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: ლეკხეტო, ვიეირა, ევსეევი, ლეკხეტო

გაძევება: ლეკხეტო (45)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

35 343 მაყურებელი

დინამო 1:1 ინტერი

0:1 ადანი (69), 1:1 რინკონი (86)

დინამო: შოვკოვსკი, დმიტრულინი (ჩერნატი 78), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ბელკევიჩი, პეევი (მილევსკი 85), გიოანე (გუსევი 74), ლეკო, შაცკიხი, რინკონი

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, ემრე ბელოზოლლუ (რეკობა 88), პასკუალე, ვან დერ მეიდე (მარტინსი 49), ვიერი, კრუზი (ლამუში 83)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

გაფრთხილება: ვიერი, პასკუალე

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

82 500 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

არსენალი	6	3	1	2	9:6	10
ლოკომოტივი	6	2	2	2	7:7	8
ინტერი	6	2	2	2	8:11	8
დინამო	6	2	1	3	8:8	7

„არსენალი“ და „ლოკომოტივი“ გავიდნენ მერვედფინალში, „ინტერი“ უეფას თასზე

C ჯგუფი

პსვ ეინდჰოვენი 3:2 დეპორტივო

1:0 დე იონგი (14), 2:0 რობენი (48), 2:1 ლუკე (58), 2:2 პანდიანი (83), 3:2 დე იონგი (90)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ბუმა, ი. ლი, პარკი (რომედალი 46), ფოგელი, ჯ. დე იონგი, რობენი, კეიმანი, ვენეგაორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

დეპორტივო: მოლინა, ეჟტორი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, სკალონი (სესარი 84), სერხიო (ლუკე 57), დუშერი, ფრანი, ვალერონი, ტრისტანი (პანდიანი 63)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ფოგელი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

30 000 მაყურებელი

აეკ 0:0 მონაკო

აეკ: მიხაილიდისი, ბორბოკისი, კრეკი, კაპსისი, მორასი, ზაგორაკისი, ცარტასი, კაცურანისი, ლაკისი (ნალიცისი 56), ოკასი (ს. კონსტანტინიდისი 88), ნ. ლიბეროპულოსი (მალადენისი 67)

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

მონაკო: ტ. სილვა, გივუ, იბარა (კაროლე 73), როდრიგესი, ევრა, ე. სისე, ბერნარდი, სკილაჩი, ადებაიორი (ს. კამარა 62), პლასილი, მორიენტესი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

5 600 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

მონაკო	6	3	2	1	15:6	11
დეპორტივო	6	3	1	2	12:12	10
პსვ ეინდჰოვენი	6	3	1	2	8:7	10
აეკ	6	0	2	4	1:11	2

„მონაკო“ და „დეპორტივო“ გავიდნენ მერვედფინალში, „პსვ ეინდჰოვენი“ უეფას თასზე

D ჯგუფი

იუვენტუსი 7:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ტრეზეგე (14), 2:0 მიკოლი (19), 3:0 ტრეზეგე (25), 4:0 მარესკა (28), 5:0 დი ვაიო (62), 6:0 დელ პიერო (67), 7:0 ზალაიეტა (79)

იუვენტუსი: კიმენტი, ბირინდელი, იულიანო (ძამბროტა 84), მონტერო, პესოტო, ზალაიეტა, ტუდორი, კონტე, მარესკა, ტრეზეგე (დი ვაიო 58), მიკოლი (დელ პიერო 66)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ვენტიდისი, მავროგენიდისი, კოსტულასი, ანატოლაკისი (გეორგიადისი 68), კაფესი (გონიასი 61), კარამბუ, პ. ჯორჯევიჩი, პანტოსი, ჯოვანი (ნინიადისი 77), კასტილიო

მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

12 578 მაყურებელი

სოსიედადი 1:1 გალათასარაი

0:1 ჰაქან შუქური (26), 1:1 დე პაულა (51)

სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი, ალკისა (ბორისი 87), ნიჰპთი (ხაურეგი 90), დე პაულა (არანბურუ 72)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გალათასარაი: მონდრაგონი, ტამაში, ბიულენთი, ფ. დე ბური (უმით კარანი 86), ჰაქან უნსალი (ჯიჰანი 77), საბრი, პეტრე, ერგუნი, ჰასან შაში (არიფი 65), ჰაქან შუქური, გიოქთანი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

გაფრთხილება: გიოქთანი, ხაბი ალონსო, ჰაქან უნსალი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

იუვენტუსი	6	4	1	1	15:6	13
სოსიედადი	6	2	3	1	8:8	9
გალათასარაი	6	2	1	3	6:8	7
ოლიმპიაკოსი	6	1	1	4	6:13	4

„იუვენტუსი“ და „სოსიედადი“ გავიდნენ მერვედფინალში, „გალათასარაი“ უეფას თასზე

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებენ

ლიონი (საფრანგეთი)	მანჩესტერი (ინგლისი)
ბაიერნი (გერმანია)	შტუტგარტი (გერმანია)
არსენალი (ინგლისი)	რეალი (ესპანეთი)
ლოკომოტივი (რუსეთი)	პორტუ (პორტუგალია)
მონაკო (საფრანგეთი)	ჩელსი (ინგლისი)
დეპორტივო (ესპანეთი)	სპარტა (ჩეხეთი)
იუვენტუსი (იტალია)	მილანი (იტალია)
სოსიედადი (ესპანეთი)	სელტა (ესპანეთი)

უეფას თასის მეთექვსმეტეფინალში ითამაშებენ

სელტიკი (შოტლანდია)
ინტერი (იტალია)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
გალათასარაი (თურქეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
მარსელი (საფრანგეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)
ბრიუგე (ბელგია)

აშვეთიას მსგავსი არაფერი შნახავს

ლოკომოტივმა ჰაიბერიზე დაიკივლა

მოსკოვის „ლოკომოტივს“ ბედმა გაუღიმა და ლონდონის „არსენალთან“ 0:2 წაგების მიუხედავად ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა. შარშანდელი ლიგის მომგებ კახა კალაძის შემდეგ მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი პირველი ქართველები არიან ამ ეტაპს რომ უწიეს.

მოსკოველთა ყივილ-ხივილი და ზეიმი წუხელ ლონდონის „ჰაიბერის“ გასახდელიდან მაშინაც ისმოდა, როცა მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანს შევეხმიანეთ



მიხეილ აშვეთია: ძალიან გახარებული ვარ. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თუ გავიდოდით, ნაღდად არ მეგონა. ასეთ წარმატებას ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებს. არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო სიხარული.

— ისე, მაგრად გაგიმართლათ...

— ჰო, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ მერვედფინალში დამსახურებულად გავედით. მართალია, წავაგეთ, თუმც წინა მატჩებში ძალიან კარგად ვითამაშეთ და ეს დაგვიფასდა. საცოდაობა იქნებოდა ჯგუფში რომ ჩავრჩენილიყავით. კიევის „დინამოს“ მადლობელიც ვარ — ბოლომდე იბრძოლა და „ინტერს“ ანგარიში გაუთანაბრა.

— „არსენალთან“ წარმატების მცირე შანსი მაინც თუ გქონდათ?

— არავინ თქვას, რომ „ჰაიბერიზე“ თამაში იოლია. ლონდონელების თამაშით გაოცებული ვარ. ფანტასტიკა იყო. მსგავსი არაფერი მინახავს.

— ყველა ამბობს, რომ „ჰაიბერიზე“ „არსენალი“ განსაკუთრებით ძლიერია...

— ამაზე მხოლოდ ძლიერი არ ითქმის, ეს სხვა რამეა. მგონი, „არსენალი“ ამ სტადიონზე ყველა გუნდისთვის ორმაგად მიუწვდომელია. აქ პირველ ტურში „ინტერის“ 3:0 მოგება ჯერაც ვერ ამიხსნია. ალბათ, იტალიელებს ზედმეტად გაუმართლათ.

— თამაშის დროს „დინამო“ — „ინტერის“ ანგარიში იცოდით?

— ჩვენი მატჩი ერთი წუთით ადრე დამთავრდა და როცა გასახდელში ანგარიში გავიგეთ, კინაღამ დაინგრა აქაურობა. ჩვენი ღრიალი ყველას ესმოდა. ისე, თამაშის დროსაც გვეუბნებოდნენ კიევში მიმდინარე ამბებს. ვიცოდით, რომ „ინტერი“ იგებდა და ამან გული ძალიან დაგვწყვიტა, თუმც „დინამომ“ სიურპრიზი მოგვიმზადა.

— რატომ შეგცვალეს?

— ტაქტიკური გადაადგილების გამო. თან ლეკხეტოს გაძევების შემდეგ ათი კაცით ვთამაშობდით და მწვრთნელმაც ჩემი შეცვლა გადაწყვიტა. ისე, თამაშიც არ წამიყიდა. ორი დღე გაცივებული ვიყავი, ვარჯიშები გამიცდა და თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობდი.

მალხაზ ასათიანი: ძალიან მიხარია, რომ მერვედფინალში გავედით. სამწუხაროდ, თამაშის საშუალება ისევ არ მომეცა, მაგრამ... ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. „ლოკომოტივი“ ჯგუფიდან გავიდა და მთელი გუნდი ბედნიერია. ასეთი წარმატება ცოტა ძნელი სავარაუდო იყო.

კახა შალამბერიძე

ბერძნებმა ხიზანიშვილი ახლოდან აზარალეს, რეინჯერსი შორიდან

მოულოდნელი იყო „რეინჯერსის“ გლაზგოური მარცხი „პანათინაიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში – რეინჯერსელებმა ბოლო ადგილი დაიკავეს და ვერც უეფას თასზე გააგრძელებენ თამაშს...

გუშინ ზურაბ ხიზანიშვილს ველაპარაკეთ



ზურაბ ხიზანიშვილი ფოტოში

— ერთ-ერთ მეტოქეს ცუდად შევეჯახე, ის ვერ მხედავდა და არანაირი განზრახვა უხეშობა არ ყოფილა. ლავიწის ძვალთან ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ თამაშის გაგრძელება ვეღარ შევძელი და გამოცვალეს.

— ტრავმა სერიოზულია?

— კლინიკაში ვიყავი და სურათი გადამიღეს. საბედნიეროდ, მოტეხილობას გადავრჩი, ძვალი გაბზარულიც არაა, მაგრამ რამდენიმე კვირა მაინც ვერ შევძლებ მინდორზე გასვლას.

— „რეინჯერსის“ მარცხის მიზეზი რა იყო? თქვენ ფრეც გყოფნიდათ და ამან უარყოფითად ხომ არ იმოქმედა ფეხბურთელებზე?

— არა მგონია, მარცხის მიზეზი ეგ იყოს. პირველი გოლი ჩვენ გავიტანეთ, მერე ბერძნებმა გაათანაბრეს, ხოლო მეორე გოლი ისეთი შორეული დარტყმით გაიტანეს, ასეთი ბურთი ათასში ერთი თუ გადის. თუმც მეტოქემ თამაშით მოგვიგო და არა შემთხვევით. ჩვენ რალაცნაირად, სულელურად წავაგეთ ეს მატჩი.

დავით თავგართქილაძე

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XVII ტური

სენტ ეტიენი 2:1 ნიორი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

დორტმუნდი (მ) 5:0 შალკე (მ)

ამხანაგური მატჩი

სლოვაკეთი 2:0 ჟუვეითი

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

E ჯგუფი

ფერგიუსონმა ვან ნისტელროი მონათლა

მანჩესტერი 2:0 შტუტგარტი

1:0 ვან ნისტელროი (45), 2:0 გიგზი (58)

მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, ფ. ნევილი, სქოულზი (ჯემბა-ჯემბა 80), ფორჩუნი, გიგზი (ბელიონი 71), ვან ნისტელროი (ფორლანი 71)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში (ტიფერტი 46), ჰელდტი, გლები (სენტურიონი 76), კურანი, საბიჩი (კაკაუ 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: სქოულზი, ფორჩუნი

მსაჯი: ერიკ ბულა (საფრანგეთი)

67 141 მაყურებელი

რეინჯერსი 1:3 პანათინაიკოსი

1:0 მოლსი (28), 1:1 ჟუტაუტასი (32), 1:2 ბასინასი (62), 1:3 კონსტანტინუ (80)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ხიზანიშვილი (ვანოლი 65), ბერგი, ბოლი, როსი (დერილ დაფი 83), ბარკი (ოსტენსტადი 69), ს. ჰიუზი, ნუნუ კაპუშუ, მოლსი, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ნ. მორისი, სეიტარიდისი, მიუნხი, გუმასი, ჟუტაუტასი, ბასინასი, სანმარტიანი (ეპალე 46), საპანისი (ვლაოვიჩი 77), კონსტანტინუ

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

გაფრთხილება: სანმარტიანი, მიუნხი, რიკსენი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

48 588 მაყურებელი

შტეფან კლოსი და „რეინჯერსი“ შოტლანდიიდან ცხვირს ვერ ყოფენ

გვეიმედებოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში რამდენიმე ქართველს ვიხილავდით, მაგრამ ჯგუფიდან გასვლა მხოლოდ კალაძის „მილანმა“ შეძლო, „მანჩესტერისა“ და კერკეტი „შტუტგარტის“ გადამკიდე „რეინჯერსს“ კი მერვედფინალს ვინ ჩივის, უეფას თასიც აღარ ერგო და ახლა შინაურ ჩემპიონატში „სელტიკის“ დაწევა-გადასწრებას ეცდება.

გლაზგოში მასპინძლებს ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ ოდეს ყოფილა „რეინჯერსს“ ერთი ქულისთვის ეთამაშოს? „ჩაფრებმა“ გულმოდგინედ შეუტიეს ათენელთა კარს და შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარ საათში იხერეს კიდეც, მაიკლ ბოლის ჩაწოდებული ბურთი მიხაელ მოლსმა ექვსიოდ მეტრიდან თავით ნიკოპოლიდისის კარში მიაბრძანა.

ჯგუფური ტურნირის დაწყების შემდეგ ბოლო საფეხურზე მყოფი „პანათინაიკოსი“ მეოთხეზე დასარჩენად განწირული არ აღმოჩნდა, არადა, თითქოს ბერძენთა ადგილი, მათი თამაშიდან გამომდინარე, სწორედ ცხრილის ქვედა სართული გახლდათ.

„პანათინაიკოსმა“ მაინცდამაინც გლაზგოში გაილაღა და ეს ალბათ ანგარიშის სწრაფად გათანაბრების გამო მოხდა. ჟუტაუტასმა მოლსს ოთხ წუთში 18 მეტრიდან ზუსტი გასროლით უპასუხა.

„რეინჯერსს“ არც ამჯერად დაუწყია მკითხაობა, ქულა შეენარჩუნებინა თუ მოსაგებად მომართულიყო. მასპინძლებმა მეორე ტაიმში გლაზგოურად „შეუბერეს“, მაგრამ სამშაბათი „ჩაფართა“ დღე აშკარად არ გახლდათ. შტეფან კლოსს ანგელოს ბასინასმა საკმაოდ შორიდან გაუტანა და „რეინჯერსის“ მეკარე გაოგნებული დატოვა.

დამხვდურები უეფას თასსაც კარგავდნენ და თავქუდმოგლეჯილებმა შეუტიეს. როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა შეირგეს. კლოსთან პირისპირ გასულ კონსტანტინუს მეტოქისთვის გვერდის ავლა და გატანა არ გასჭირვებია. ხუთი ტურის მანძილზე ფსკერზე დალექილმა „პანათინაიკოსმა“ ბოლო ტურში „რეინჯერსის“ ძლევით უეფას თასზე გადაინაცვლა.

„ოლდ ტრეფორდზე“ პირველი ადგილისთვის ბრძოლა გაიმართა. მანჩესტერელთა მწვრთნელის თქმით, ეს მატჩი მასპინძლებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ. მათ „შტუტგარტის“ ჯავრი სჭირდათ, თან პირველ ადგილზე გასვლით მერვედფინალში ძლიერ მეტოქეებს (მათ შორის „რეალს“, რომელმაც გასულ გაზაფხულზე მეოთხედფინალში ინგლისელებს სძლია) აიცილებდნენ. „წითლებმა“ დავალება ფრიადზე შეასრულეს, რუუდ ვან ნისტელროიმ კი ევროთასებზე 28-ე გოლი მიითვალა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკლუბო რეკორდი გაიმეორა, რომელიც დენის ლოუს ეკუთვნის.

მანჩესტერი — შტუტგარტი. რუუდ ვან ნისტელროის გოლი შეუქეს

სერ ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევს ჰოლანდიელს ფენომენი, მის გოლს კი ფენომენალური უწოდა.

ვაჟა ხუციშვილი

საბოლოო ცხრილი

მანჩესტერი	6	5	0	1	13:2	15
შტუტგარტი	6	4	0	2	9:6	12
პანათინაიკოსი	6	1	1	4	5:13	4
რეინჯერსი	6	1	1	4	4:10	4

„მანჩესტერი“ და „შტუტგარტი“ გავიდნენ მერვედფინალში, „პანათინაიკოსი“ უეფას თასზე

F ჯგუფი

ფრე და ფრე!

წარმატებულ მწვრთნელს ჭკვიანი უნდა ეძახოო

რეალი 1:1 პორტუ

1:0 სოლარი (9), 1:1 დერლეი სილვა (35პ)

რეალი: სესარი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინამბრესი 46), ბორხა (ხორდი 89), კამბიასო, სოლარი, ზიდანი, რონალდო (პორტილიო 46)

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ალენიჩევი (ბოსინგვა 80), პ. მენდეში, კოშტინია, დეკო სოუზა, დერლეი სილვა (ბ. მორაეში 90), იანკაუსკასი (უ. პერეირა 74)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კოშტინია

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

28 000 მაყურებელი

პარტიზანი 1:1 მარსელი

0:1 მიდო (60), 1:1 დელიბაშიჩი (79)

პარტიზანი: პანტიჩი, რეასა (დრულოვიჩი 65), ოგნიანოვიჩი, სავიჩი, ჩირკოვიჩი, მალბასა, დულიაი, ივიჩი, ილიჩი (ჩაკარი 85), დელიბაშიჩი, ილიევი (რადონჩიჩი 85)

მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი

მარსელი: გავანონი, იოჰანსენი, ვან ბუიტენი, კრისტენვალი (ბეიე 14), მეიტე, ჰემდანი, ეკერი, ს. ნდიაიე, ვახოუშეკი, მიდო, დროგბა

მწვრთნელი: ალენ პერენი

გაფრთხილება: ვახოუშეკი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი



სანტიაგო სოლარი

გადასარევია, ადამიანს ხანდახან ტრაბახის საშუალება რომ მოგეცემა. ჩემპიონთა ლიგის F ჯგუფის ბოლო ტურის ანონსის სათაურად გუშინდელ „სარბიელში“ ასეთი რამ მოვიფიქრეთ: ფრე და ფრე? როგორც ხედავთ, სწორედ გვივარაუდია, ასეთი ვარაუდის საფუძველს კი გუნდების მოტივაცია და შესაძლებლობები გვაძლევდა.

„ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა შევძელით — თქვა „პორტუსთან“ 1:1 დამთავრებული მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე არა მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა, არამედ მისმა ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა — მაგრამ ამიერიდან საქმეები ერთიორად გაგვირთულდება“.

ესპანეთის დედაქალაქში მოსულმა თქვენმაც მაინცდამაინც არ შეუწყო ხელი უმოტივაციო გუნდებს შეხვედრის განსაკუთრებით ლამაზად ჩატარებაში.

„მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში ძლიერ წვიმდა. ერთი სიტყვით, მძიმე საღამო გვერგო — განაგრძო რობერტო კარლოსმა, — მაგრამ, ვიმეორებ, რომ ჩვენ პირველ ადგილზე გავედით და არც პორტუგალიელები გაწბილებულან. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ“.

რობერტო კარლოსმა კინაღამ მეხუთე წუთზევე გახსნა ანგარიში — მისი დარტყმული სულ ოდნავ გადაცდა ხარიხას, თუმცა წუთის შემდეგ სანტიაგო სოლარომ შეაგდო: კომბინაციაში მთელი ცის კაბადონი მონაწილეობდა — ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ და რონალდო.

უმოტივაციონი კი გუნდები იმიტომ იყვნენ, რომ ორივეს ამ თამაშის გარეშეც ჰქონდა თავი დაგულებული მერვედფინალში. ერთადერთი მოტივაცია, თითიდან თუ გამოვწოვთ, ის იქნება, რომ „პორტუს“ თეორიულად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველი გამარჯვება უნდა სდომოდა. ისე, მათ მართლაც შეეძლოთ მოგება. მას მერე, რაც მადრიდელმა მიჩელ სალგადომ საჯარიმოში დეკო წააქცია და დერლეიმ პენალტით ანგარიში გაქვითა, „პორტუს“ ანგარიშის თავის სასარგებლოდ წაყვანის შესაძლებლობაც მიეცა. ეს ორჯერ მოხდა, ერთი ბოსინგვას შორეული დარტყმის, ხოლო მეორედ იმავე დერლეის ახლო მცდელობის შედეგად.

კარლუშ კეირუში: „ჩვენ დაუძაბავად ვითამაშეთ. გასულ შაბათს, „ბარსელონასთან“ დიდი ბრძოლა გვქონდა და ამის გათვალისწინებით ამ შედეგით უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს. ჩვენი ამოცანა ამ შესარჩევ ეტაპზე შესრულებულია“.

„პორტუს“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ: „ამ შეხვედრას ვაგებდით, მაგრამ ჩამორჩენა გამოვასწორეთ და ქულა მოვიპოვეთ, რასაც ვიმსახურებდით. „რეალის“ არ გვეშინოდა. ჩემი ფეხბურთელები მოედანზე იმას აკეთებდნენ, რაც უნდა ეკეთებინათ“.

დავძინოთ, რომ „პორტუმ“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ისტორიაში მეორედ არ წააგო, ჯგუფში კი მეორე ადგილზე გავიდა და, შესაბამისად, პარასკევს კენჭისყრაზე რომელიმე უდიდეს გუნდს გადაეყრება.

„რომელიმე ინგლისურ გუნდთან თამაში დიდებული იქნება — თქვა მაურინიუმ, — „მანჩესტერ იუნაიტედიც“ გვაწყობს და „ჩელსიც“, თუმცა ვიცი, რომ იტალიურ გუნდებთან შეხვედრის შანსიც 50 პროცენტით გვაქვს“.

ბელგრადში კი „მარსელის“ მწვრთნელი ალენ პერენი 20 წლის მეკარის, ჟერემი გავანონის თამაშმა აღაფრთოვანა — ფრემ, რომელსაც ფრანგებმა სერბეთის დედაქალაქში მიაღწიეს, ისინი უეფას თასზე გადაასკუპა.

უნდა ითქვას, რომ გავანონის თამაში სრულიად მოულოდნელი იყო. არავინ ელოდა, რომ პერენი პირველ მეკარეს, ედრან რუნიეს სათადარიგოთა სკამზე დასვამდა, მაგრამ გავანონმა პედაგოგს პირველივე ტაიმში გაუმართლა, როდესაც რამდენიმე ჩინებული მოგერიების შემდეგ, შესვენების წინ, ივიცა ილიევს აშკარა საგოლე სიტუაცია ჩაუშწარა.

„დღეს მან საუცხოოდ ითამაშა და შემდეგ მატჩში, „ტულუზთან“ უთუოდ ძირითადში ვათამაშებ — განაცხადა პერენმა — მან დღეს ყველას აჩვენა თუ რას უნდა აკეთებდეს მოედანზე ნამდვილი მეკარე“.

სხვათა შორის, პერენს არ განუმარტავს, თუ რატომ არ ათამაშა რუნიე.

„წარმატებული მატჩის შემდეგ მწვრთნელზე უნდა თქვათ, რომ ის ჭკვიანია და არ უნდა ჰკითხოთ, რატომ არ ათამაშა ესა თუ ის ფეხბურთელი“ — გაიღიმა მწვრთნელმა, რომელმაც აღიარა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მთავარი გუნდი მოედანზე „პარტიზანი“ იყო.

„ძნელი თამაში გვერგო, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ უეფას თასზე გავედით — დასძინა „მარსელის“ მწვრთნელმა — ეს ჩვენი რეალობაა და მწამს, მარსელში ყველა ჩემსავით კმაყოფილი იქნება“.

„პარტიზანის“ გერმანელი თავკაცი, ლოთარ მათეუსი: „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, ოღონდ ჩვენსავე შექმნილ სახიფათო მომენტებს ქარს ვატანდით, ამიტომაც დავრჩი შედეგით უკმაყოფილო“.

პაპუნა ძედია

საბოლოო ცხრილი

რეალი	6	4	2	0	11:5	14
პორტუ	6	3	2	1	9:8	11
მარსელი	6	1	1	4	9:11	4
პარტიზანი	6	0	3	3	3:8	3

„რეალი“ და „პორტუ“ გავიდნენ მერვედფინალში, „მარსელი“ უეფას თასზე

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

G ჯგუფი

ბეშიქთაში 0:2 ჩელსი

0:1 ჰასელბაინკი (77), 0:2 ბრიჯი (85)

ბეშიქთაში: ო. კორდობა, ემრე აშიქი, გიარო, ძაგო, იასინი (აჰმედ ჰასანი 81), ტაიფური, დობრა (ოკან კოჩი 70), იბრაჰიმი, პანჩუ, სერგენი (ტუმერი 75), ილჰან მანსიზი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, დესაი, ბაბაიარო (ბრიჯი 83), გრონკიაერი (დემიენ დაფი 72), მაკელელე, ჯერემი, ლამპარდი, ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: გრონკიაერი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

55 350 მაყურებელი

სპარტა 1:0 ლაციო

1:0 კინცლი (90)

სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, პუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა, მიხალიკი (კინცლი 72), გლუშკევიჩი (იეჟეკი 85), სიონკო (იუნი 89)

მწვრთნელი: ირჟი კოტრბა

ლაციო: პერუცი, ნეგრო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი (ს. კონსეისაუ 89), ფიორე, ალბერტინი, გოტარდი (ლივერანი 53), სტანკოვიჩი, კორადი, მუცი (ს. ინძაგი 73)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კორადი, სტანკოვიჩი

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

17 825 მაყურებელი

ბეშიქთაში გაიჯიმა

თურქული გუნდების მატჩები უეფამ ოსმალეთიდან სადაც არ უნდა გადაიტანოს, „ბეშიქთაში", „გალათასარაი" ან "ფენერბაჰჩე" სტადიონზე ხუთ ათეულ ათას გულშემატკივარს მაინც შეკრებენ.

გელზენკირხენში 52 ათასამდე ოსმალო სტამბოლელთა მხარდასაჭერად შეიყარა, „ჩელსის" კი ოდენ 400-მდე ფანი ჩაჰყვა.

„აუფშალკეზე" ჩემპიონთა თასის ფინალი მაისში გაიმართება. „არისტოკრატები" კი სამაისო ფინალის ერთ-ერთი კანდიდატები არიან. კლაუდიო რანიერის გერმანული სტადიონი კარგად დაებედა და ახლა მთავარია, გუნდი გელზენკირხენში ხელმეორედ მიიყვანოს.

„ჩელსის" საამისო პოტენცია და გასაქანი აშკარად აქვს. იტალიელმა მწვრთნელმა „სპარტასთან" უგოლო ფრის შემდეგ 5 ფეხბურთელი გამოცვალა და სახეცვლილმა „არისტოკრატებმა" „ბეშიქთაშს" ლონდონური მარცხის სამაგიეროდ ალიყური აჭამეს.

თურქობა შეხვედრის დასაწყისშივე შეეცადა მეტოქის დაჩაგვრას, მაგრამ მეტად მცირე ძალებით სურდა მიზნის მიღწევა და ხეირს ამიტომ ვერ ეწია. სერგენ იალჩინი ფორმაში არ იყო, დანიელ პანჩუმ ორჯერ უშნოდ დაარტყა კარში, ილჰან მანსიზს კი ჯონ ტერიმ იდაყვით წარბი გაუხეთქა. მანსიზის ექიმობას ხუთიოდ წუთი დასჭირდა. მანამდე არცთუ აქტიურმა ილჰანმა კონცენტრაცია მთლად დაკარგა. არადა, მირჩა ლუჩერკუს სწორედ მისი ეიმედებოდა.

მეორე ტაიმი დაგვიანებით დაიწყო, რადგან თურქმა გულშემატკივრებმა მოედანზე ქაღალდები დაახვავეს და მის გატანას დრო დასჭირდა.

„ბეშიქთაშს" პრაღული ფრის შემთხვევაში ზავიც ხელს აძლევდა და მშვიდად დაასეირნებდა ბურთს მანამდე, სანამ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი გაიტანდა. ჰოლანდიელი მეკარე კორდობასთან პირისპირ აღმოჩნდა და ბურთს საგოლედ წაუწკაპუნა.

იმავდროულად პრაღაში „სპარტა" და „ლაციო" ლონდონელთა იმედზე იყვნენ. ჯიმის გოლის ამბავი რომ შეიტყვეს, ერთურთის კართან შეტევებს უხშირეს და ძელს მორტყმული თითო ბურთიც „გაცვალეს".

გელზენკირხენში „ბეშიქთაშმა" სცადა საქმის გამოსწორება, მაგრამ დესაი-გალას-ჯონსონის ტრიოს გასავლელად ამაოდ წვალობდა.

„ჩელსიმ" ერთი კოხტა კონტრიერიშიც გამოჩარხა და ჰასელბაინკმა მოედანზე ორი წუთის შესულ ბრიჯს საგოლედ დაუგორა. ბრიჯმა ბურთი კორდობასგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა...

პრაღაში მეორე გოლის ამბავმა ჩააღწია, რაც „ბეშიქთაშის" დამარცხებას ნიშნავდა. ჯგუფიდან გასვლის თანაბარი შანსების მქონე „სპარტას" და „ლაციოს" მატჩი უკვე მირჩა ლუჩესკუს ინტერესის მთავარი საგანი გახდა. ჩეხეთში ფრით თურქები ხეირობდნენ, მაგრამ მარეკ კინცლმა პობორსკის პასით პერუცის „ლაციოს" დამღუპველი გოლი დამატებული წუთების ბოლო წამებზე გაუტანა და სასწორი ჩეხთა მხარეს გადახარა.

ბეშიქთაში — ჩელსი. უეინ ბრიჯი მოედანზე ახალი შესული იყო, თურქებს მეორე ბურთი რომ გაუტანა

ვაჟა ხუციშვილი

საბოლოო ცხრილი

ჩელსი	6	4	1	1	9:3	13
სპარტა	6	2	2	2	5:5	8
ბეშიქთაში	6	2	1	3	5:7	7
ლაციო	6	1	2	3	6:10	5

„ჩელსი" და „სპარტა" გავიდნენ მერვედფინალში, „ბეშიქთაში" უეფას თასზე

H ჯგუფი

ლოტინას სკამი ლიგით უჭირავს

მილანი 1:2 სელტა

1:0 კაკა (41), 1:1 ხესული (42), 1:2 ხოსე იგნასიო (71)

მილანი: აბიატი, შიმიჩი, ლაურსენი, კოსტაკურტა (აბატე 68), კპლაძე, ბროკი, რედონდო, ზეედორფი (რუი კოშტა 46), სერგინიო, კაკა (ტომასონი 46), ბორიელო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

სელტა: კავალიერო, ანხელი, კასერესი, ბერიზო, სილვინიო, ხესული, ლუსენი, ხოსე იგნასიო (ჯოვანელა 80), ხუანფრანი, გუსტავო ლოპესი (ვ. კონტრერასი 89), მილოშევიჩი (კატანია 84)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ხუანფრანი, ბერიზო, ბროკი, ჯოვანელა

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

36 207 მაყურებელი

ვიგოს „სელტამ" თავი გამოიდო: ჯერ იყო და, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჯგუფურში რომ მოხვდა, მიღწევად ჩაუთვალეს. გაირკვა მეტოქეთა ვინაობა და ვინღა შეხედა დებიუტანტ გალისიელებს, ესენი ვერც უეფას თასზე გამსვლელ მესამე ადგილს დაიკავებენო. მიგელ ანხელ ლოტინა კი ახლა გმირია, მისმა გუნდმა შეუძლებელი შეძლო, „სან სიროზე" თვით ევროპის საკლუბო ჩემპიონი, თუნდაც სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე „მილანი" დაამარცხა და ახლა მერვედფინალშია.

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ბედნიერი ლოტინა ჟურნალისტებს გაეხუმრა — კითხვაზე, ვის ისურვებდით მომავალ მეტოქედო, ლოტინამ უპასუხა, ეგ ახალ მწვრთნელს ჰკითხეთო. არა, ჯერჯერობით ლოტინა თანამდებობიდან არ მიდის, უბრალოდ, მან „სელტას" მიერ ესპანეთის ჩემპიონატში წლევანდელ შედეგებს გაუსვა ხაზი, ასე თუ გავაგრძელეთ, ვინღა მაპატიებს, მომხსნიანო. „სელტა" ხომ სატურნირო ცხრილის ბოლოშია.

„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი, ფაქტობრივად, ის თქვა, რაც კახა კალაძემ გუშინწინდელ ინტერვიუში გვითხრა: „სელტას" პირველ ტაიმში აშკარად ვაჯობეთ, მეორეში მათ იძალესო. ანჩელოტიმ ისიც დასძინა, რომ უბრალოდ შეუძლებელი იყო, ფეხბურთელებს უმოტივაციო თამაშში სრული ძალით მოეხდინათ კონცენტრირება, მათ თავში „ბოკა ხუნიორსი" და „ტოიოტას" თასი რა ხანია, უტრიალებთ.

ბრიუგე — აიაქსი. ტომი სიმონსმა და ბელგიელებმა ჰოლანდიელები მოიტოვეს

მილანელთა ერთადერთი გოლი ბრაზილიელი კაკასი იყო

მილანელთაგან ერთადერთი გახარებული 17 წლის ყმაწვილი იგნაციო აბატე გახლდათ, მან 68-ე წუთზე დაშავებული ბილი კოსტაკურტა შეცვალა და ოცნება აიხდინა, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა: „თავი სიზმარში მგონია. უღრმესი მადლობა ანჩელოტის. განაცხადში რომ ვიქნებოდი, ვიცოდი, მაგრამ ახალგაზრდული გუნდიდან თუ ვითამაშებდი ლიგაში, ნამდვილად არ მეგონა".

ბრიუგე 2:1 აიაქსი

1:0 ლანგე (27), 1:1 სონკი (42პ), 2:1 შატერნსი (84)

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი (სმოლდერსი 80), ვან დერ ბიდენი, ენგლებერტი, კლემანი, ნ. ჩეპი, ლანგე (შატერნსი 66), ვერპეინი, ს. მარტენსი (კორნელისი 89)

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

აიაქსი: ლობონტი, ჰეიტინგა, გრიგერა (ვან დამი 85), ესკუდე, მაქსველი, სნეიდერი, ნ. დე იონგი, მიტია (სოტერსი 79), ვან დერ ვაარტი, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 72), სონკი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: ჰეიტინგა, დე იონგი, ვერპეინი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

28 041 მაყურებელი

აი, კიდევ ერთი სენსაცია. „აიაქსის" ევროთასებიდან გავარდნამ ალბათ ბევრს დასწყვიტა გული. ფაქტი კი, ერთია, ამ სიმპათიური გუნდის ფეხბურთელებმა ყოველივე საკუთარ თავს უნდა დაბრალონ.

ნამატჩევს ყველაფერზე სრული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მწვრთნელმა რონალდ კუმანმა აიღო, მან არც მეკარე ბოგდან ლობონტი დაადანაშაულა, რომელმაც, ფაქტობრივად, ორივე გოლი აჩუქა ბელგიელებს, არც მცველები და არც ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, შვედმა ხომ 1:1-ზე ორი მეტრიდან კარში დარტყმის მაგივრად ბურთი ღრუბლებში მოიკითხა.

„ჰოლანდიის ჩემპიონატი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. თუ ეს მოვახერხეთ, სეზონს ჩავარდნილს ვერ ვუწოდებ" — ამბობს კუმანი.

დაიწყო თამაში და „ბრიუგე" ისე შლეგიანად ეკვეთა მეტოქეს, კაცი იფიქრებდა, ახლა კი ამსტერდამელებს ნაღდად გაბღვნიანო. 27-ე წუთზე რუნე ლანგემ თავით გაიტანა, ლობონტის შეცდომას ძალიან კურიოზული გოლი მოჰყვა.

„აიაქსმა" ძალები მოიკრიბა და მეტოქესაც მიაწვა. 42-ზე უესლი სონკმა თანამემამულეები პენალტით დაამწუხრა.

თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი ლობონტი მეორედ შეცდა — ნორვეგიელი შატერნსის დარტყმული ფეხებშუა გაუძვრა და...

„ძალიან გავიხარეთ. კარგი იქნებოდა, მერვედფინალში გავსულიყავით, მაგრამ არც უეფას თასია ურიგო. ბიჭებმა ეს დაიმსახურეს" — ტრონდ სოლიედი, „ბრიუგეს" მწვრთნელი.

გიორგი ვაზაკიძე

საბოლოო ცხრილი

მილანი	6	3	1	2	4:3	10
სელტა	6	2	3	1	7:6	9
ბრიუგე	6	2	2	2	5:6	8
აიაქსი	6	2	0	4	6:7	6

„მილანი" და „სელტა" გავიდნენ მერვედფინალში, „ბრიუგე" უეფას თასზე

ვიგოს „სელტას“ პირველი საჩემპიონთალიგო სეზონი ჯერჯერობით კარგად მიმდინარეობს — მიგელ ანხელ ლოტინას გუნდმა H ჯგუფის ბოლო ტურის შეხვედრაში მრისხანე „მილანი“ საკუთარ „სან სიროზე“ დაამარცხა და მერვედფინალში თამაშის უფლებაც ღირსეულად მოიპოვა. იტალიურ-ესპანურ შერკინებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სტუმართა ნახევარმცველმა ხესულიმ, ორი გოლიდან პირველის ავტორმა. ვიგოელს გმირს „ლიბრედირეკტოს“ ჟურნალისტი ესაუბრა.



ხესულიმ სული მოითქვა

— ეს თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი იყო?

— დიახ, ყველაზე საუკეთესო და მომავალშიც ვეცდები, „სელტას“ სასიკეთოდ ბევრი ასეთი ბურთი გავიტანო. ჩემმა და ხოსე იგნასიოს გოლებმა გუნდის ახალი ისტორია შექმნეს და ამიტომაც ძალიან კმაყოფილები ვართ.

— მილანში გაიმარჯვეთ. ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამბავია...

— მე პირადად ამაში დიდად განსაცვიფრებელს ვერაფერს ვხედავ. ადრე „ბრიუგეც“ დავამარცხეთ და ვიცოდით, რომ მსგავსი რამის განმეორება „მილანთანაც“ შეიძლებოდა. ერთობლივი მონდომებით „სელტა“ ნებისმიერ ევროპულ გუნდთან იხეირებს.

— მატჩისშემდგომ განწყობაზე რას გვეტყვით?

— უსაზღვრო სიხარული დაგვეუფლა. როდესაც წარმოვიდგენ, თუ რამხელა ბედნიერება მივანიჭეთ „სელტას“ ინჩასებს, საოცრად ვამაყობ. ვიგოსთვის გუშინ ფიესტას დღე იყო.

— ახლა მთელ ყურადღებას პრიმერადივიზიონის შეხვედრებზე გადაიტანთ...

— დიახ, რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგა ხანგრძლივი დროით ისვენებს და ამიტომაც საშუალება გვეძლევა, საპრიმერო მეტოქეებს სრული დატვირთვით შევებრძოლოთ.

— ბოლო ხანს მიღწეული წარმატებების გამო ალბათ ესპანეთის ნაკრებში მოხვედრაზე ფიქრობთ...

— ყველა ფეხბურთელი თავისი ქვეყნის ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს და გამონაკლისს არც მე წარმოვადგენ. ამჟამად მთავარია, „სელტას“ შემადგენლობაში კარგად ვითამაშო და ადრე თუ გვიან სანაკრებო სელექციონერებიც შემამჩნევენ, რაც ჩემთვის ფასდაუდებელი საჩუქარი იქნება.

რა აცინებს ულიეს...

ვირტუალური ჰასუხი რეალურ გაფრთხილებაზე

ამასწინათ, „ლივერპულის“ თავმჯდომარე დევიდ მურმა ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ჩვენთვის სხვა ნაკლებსაინტერესო ამბებთან ერთად ასეთი რამეც წერია: ამ სეზონში „ლივერპული“ სულ მცირე, მეოთხე ადგილზე უნდა გავიდესო. მეოთხე ადგილი, მოგეხსენებათ, მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშს ნიშნავს.

მურის ამ ანგარიშის მერე გაჩნდა აზრი, რომ თავმჯდომარემ კლუბის მენეჯერ ჟერარ ულიეს ბოლო გაფრთხილება მისცა და რომ, თუ ულიე გუნდს მეოთხე ადგილზე მაინც ვერ გაიყვანს, მას მოხსნიან.

ამის თაობაზე, ბუნებრივია, თავად ულიემაც გააკეთა განმარტება. თავის პერსონალურ ვებ-გვერდზე მან განაცხადა: „როცა თავმჯდომარის ანგარიში წავიკითხე, გამეცინა. ჩემი მიზანიც ხომ მესამე ან მეოთხე ადგილზე გასვლაა. ასე რომ, ჩვენი მოსაზრებები სრულად ემთხვევა ერთმანეთს.“

თავის ანგარიშში მურმა ისიც თქვა, ბედნიერი ვარ, სტივენ ჯერარდთან კონტრაქტი რომ გავახანგრძლივეთ, ხოლო სტივ ფინანი და ჰარი კიუელი რომ გადმოვიბირეთ, ამაში ულიეს დიდი დამსახურებაც არისო.

ისევ ულიე: „ლივერპული“ მუდამ ჯილდოებისთვის იბრძვის და ბოლო წლებში, თქვენც იცით, ბლომად თასები მოვიგეთ. იმას, რომ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ ვთამაშობთ, გაუგებრობას ვუწოდებ, რომელიც გამოსწორდება და გაისად ისევ ლიგაში ვიქნებით. ფინანმა და კიუელმა გუნდი უეჭველად გააძლიერეს, მაგრამ ორ ახალგაზრდა ფრანგს, ფლორენ სინამა-პონგოლეს და ენტონი ლე ტალეკსაც ნუ დავივიწყებთ, მათ დიდი მომავალი აქვთ. იანვრიდან კი „ლივერპული“ გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი იქნება, რადგან იმ დროისთვის ტრავმირებული ფეხბურთელები დაგვიბრუნდებიან. თავად განსაჯეთ, ბოლო ტურში, „ნიუკასლის“ წინააღმდეგ, მაიკლ ოუენი, ჰარი კიუელი, სტივ ფინანი, ჯეიმი კარაგერი და მილან ბაროშიც გვაკლდა და მაინც ძალიან კარგად ვითამაშეთ, ქულა ავიღეთ. ახლა წარმოიდგინეთ, „ნიუკასლს“ ლორენ რობერი, ალან შირერი და შოლა ამეობი რომ არ ჰყოლოდა, ძალა ექნებოდა? არა, ჩვენ კი საუკეთესო ფეხბურთელების გარეშეც ძალიან ძლიერები ვართ. ამიტომაც ვამბობ, ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი რომ დაგვიბრუნდება, ძნელად თუ ვინმე დაგვამარცხებს და ოთხეულში აუცილებლად მოვხვდებით.“

ირაკლი ნინიძე

კატალონიური „ესპანიოლის“ პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ „ბარსელონასა“ და „მილანის“ ყოფილ მობურთალს, ბრაზილიელ რივალდოს ერთი სეზონით საკუთარ კლუბში გადასვლა შესთავაზა

სარფიანი წინადადებების მომლოდინე რივალდო ბრაზილიაში ჯალაბთან ერთობა

ბარსელონაში რივალდო გაახსენდათ

„კარგი იქნება, თუ რივალდო „ესპანიოლში“ ითამაშებს. ჩვენ მას უკვე დავუკავშირდით. ბრაზილიელი პრიმერადივიზიონში დაბრუნებას არ გამორიცხავს და კლუბის მმართველთა საბჭოც სავარაუდო ტრანსფერის განხორციელებას ოპტიმისტურად შესცქერის. ჩვენს წინადადებაზე სამხრეთამერიკელები უახლოესი 48 საათის განმავლობაში უნდა გამოგვეხმაურნონ. დასტურის შემთხვევაში გარიგების ეკონომიკური დეტალების განხილვას დავიწყებთ“ — უთხრა სანჩეს ლიბრემ „მარკას“ კორესპოდენტებს.

შეგახსენებთ, რომ რივალდო ამჟამად უგუნდოდაა. მისი იტალიური კარიერა მეტისმეტად უიღბლო გამოდგა, „მილანში“ ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა და შინ — ბრაზილიაში გაემგზავრა.

„მართალია, რივალდოს თანამშრომლობას სეზონის დასასრულამდე ვთავაზობთ, მაგრამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტის ვადა კიდევ 1 წლით შეიძლება გავაგრძელოთ. მთავარი დაბრკოლება კი მაინც ფინანსები იქნება“ — აღიარა „ესპანიოლის“ პრეზიდენტმა. სენიორ სანჩეს ლიბრეს გუნდი ახლა კრიზისშია. ბარსელონელებს დიდი ხანია პრიმერას ტიტულოვანი ადგილები აღარ დაუგემოვნებიათ და მათი უფროსობაც სეგუნდადივიზიონიდან თავდასახსნელად ახალი ძალის მოკრებას ოკეანისგაღმიდან აპირებს. თუმცა ბრაზილიაში რივალდო აგრერიგად იოლად არ ემეტებათ, რასაც „სან პაულუს“ ტექნიკური დირექტორის, ჟუვენსიოს სიტყვებიც ადასტურებს: „ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ რივალდომ კარიერა „სან პაულუში“ გააგრძელოს. ივი შესანიშნავი ფეხბურთელია და ნებისმიერი გუნდისთვის კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია“.

ლადო ხომერიკი

ფეხბურთის რუკასთან

ჩეხი ნახევარმცველის, პაველ ნედვედის აგენტმა ზდენეკ ნეჰოამ გაზეთ **IL GLORNALE**-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ჩელსი“ მზადაა, დიდი ფულის სანაცვლოდ ფეხბურთელი ტურინის „იუვენტუსს“ წაჰგვაროს და „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩაიყვანოს: „ლუჩანო მოჯიმ, „იუვეს“ საქმეთგამრიგემ თავად მითხრა, რომან აბრამოვიჩი სოლიდურ თანხას გამოდის და რა ვქნათო“ — ამბობს ნეჰოა და იქვე დასძენს, სავარაუდოდ, „იუვენტუსი“ ლონდონელებს საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვაზე უარს ეტყვისო. საინტერესო კი ისაა, რომ პაველ ნედვედის შეძენა რომან აბრამოვიჩს სვენ-გორან ერიკსონმა ურჩია, ინგლისის ნაკრების შვედი თავკაცი ხომ „ჩელსის“ მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატად ითვლება.

იტალიური „იუვენტუსის“ ტომით არგენტინელი, მერე კი გაიტალიელებული მაურო კამორანეზი აცხადებს, რომ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალურ მატჩში „მილანს“ უქომაგებს და არა „ბოკა ხუნიორსს“. „მილანი“ ძალიან ლამაზ და რაც მთავარია ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს, ტოიოტას თასსაც ის უფრო იმსახურებს — ამბობს კამორონეზი.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ ფორვარდს ეძებს, არახალია. ბევრჯერ უთქვამთ, რუუდ ვან ნისტელროის შეტევაში იდეალური მეწყვილე არ ჰყავსო. ჰოდა, „იუნაიტედის“ სკაუტები ალექს ფერგიუსონს ლიდსელ მარკ ვიდუკას, ვესტჰემელ ჯერმენ დეფოს და „ფულემის“ ლუი საჰას სთავაზობენ. ახლა თავად ფერგი აარჩევს ერთ-ერთს. ამბობენ, ტრანსფერი აუცილებლად იანვარშივე განხორციელდება და მალე ერთერთს „ოლდ ტრეფორდზეც“ ვიხილავთო. ფერგიუსონის მოთხოვნა კი ასეთი ყოფილა, ეძებეთ ისეთი, რომელსაც წლეულს ევროთასებზე არ უთამაშიაო, სკაუტებმაც იპოვეს.

გერმანული „შტუტგარტის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა სურვილი გაამხილა. მას „ლივერპულის“ შვეიცარიელი ცენტრალური მცველის, სტეფან ანშოს გადაბირება სურს. 29 წლის ფეხბურთელს მერსისაიდულ კლუბთან კონტრაქტი ერთი წლის მერე ეწურება, მაგათს კი სურს, „შტუტგარტმა“ ანშოსთან კონტრაქტს ახლავე მოაწეროს ხელი, ანუ ტრანსფერი იანვარში განხორციელდეს. საინტერესო კი ისაა, რომ ანშოს და მაგათს ერთად ადრეც უმუშავიათ. როცა ფელიქსი „ჰამბურგს“ წვრთნიდა, სტეფანი მისი გუნდის დაცვას ადუღაბებდა.

საშობაოდ ქალია საჭირო

გაუჩიმ პრინცს ხელი სთხოვა, ბებერმა ქალბატონმა სტანკოვიჩს ფეხი



დეიან სტანკოვიჩი

იტალიიდან ჩამოსულ ცნობათა თანახმად, „იუვენტუსი“ კვლავ ფიქრობს „ლაციოს“ ფეხბურთელის, დეიან სტანკოვიჩის შეძენას. ამბობენ, რომ სტანკოვიჩის ყიდვა სურდა „ინტერსაც“, მაგრამ ამ ზამთარს, როგორც ჩანს, ტურინელები იყოჩაღებენ — წესითა და რიგით, სერბი სეზონის დასრულების შემდეგ უფასო უნდა გამხდარიყო, მაგრამ „ბებერ ქალბატონს“ იანვარში ფულის გადახდა განუზრახავს. რაც შეეხება თანხას, ამბობენ, რომ „იუვეს“ ტრანსფერთა გურუ (სულ ასე იხსენიებენ) ლუჩანო მოჯი, „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილ ვარსკვლავში 7,2 მილიონი ევროს გადახდას ფიქრობს

„იუვენტუსის“ ბანაკიდან გამოსულ ხმათა თანახმად, „ბებერ ქალბატონს“ არგენტინული „სან ლორენსოდან“ მავანი გონსალო როდრიგესის შეძენაც ამოჭრია გულში. ამ 20 წლის ცენტრალურ მცველს ხშირად „ლევერკუზენის“ ბრაზილიელ ლუსიოს ადარებენ.

მაგრამ, ზემოთ ნახსენები „ინტერიც“ არ დარჩება პასიური. ამბობენ, რომ მასიმო მორატის კლუბი „პერუჯასგან“ ზე მარიას შეიძენს. რაც შეეხება „ინტერის“ თანაქალაქელ მოქიშპეს, „მილანს“, იგი „კიევოს“ 23 წლის ამაურის წამოსაყვანად მიადგება.

ამასობაში, იტალიაში დარჩენის სურვილს გამოთქვამს გერმანელი კარსტენ იანკერი, რომელიც „უდინეზეში“ თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებას, გოლების გატანას, თავს ვერ აბამს.

„ბოლო ტურში „რეჯინას“ გავუტანე და თავდამსხმელისგან სწორედ ეს მოითხოვება — თქვა იანკერმა — არ ვიცი, რა ბედი მელის მომავალში, მაგრამ აქ დარჩენა ჩემთვის პრობლემა არ არის. „უდინეზე“ დიდებული კლუბია“.

და ქალი? ნუთუ დაგვავიწყდა, რომ „პერუჯას“ შეფი, ლუჩანო გაუჩი კარგა ხანია, მის ვაჟთა გუნდში ქალი მოთამაშის ჩართვას აპირებს?

„ჩვენ უკვე შეეხვდით ბრიგიტ პრინცს და მან გვითხრა, რომ რამდენიმე დღე ფიქრისთვის სჭირდება. შემდეგი კვირიდან საბოლოო დეტალებზე დავილაპარაკებთ — თქვა

ბრიგიტ პრინცი

გაუჩიმ — მწამს პრინცი ის ქალია, რომელიც ჩვენს პროექტს დახატავს. იმედი მაქვს, რომ იგი შობამდე ჩვენთან ვარჯიშს მოასწრებს, იანვარში კი უკვე ითამაშებს“.

ბრიგიტ პრინცი გერმანელი მსოფლიოს ჩემპიონი ქალი გახლავთ, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკის ქალთა ლიგაში უნდა გადასულიყო, მაგრამ რაღაცამ ხელი შეუშალა. პრინცამდე გაუჩის უარი შეუთვალეს შვედებმა, ჰანა ლიუნგბერგმა და ვიქტორია სვენსონმა.

და ბოლოს, ჩვენი იტალიური კალეიდოსკოპის დოპინგ-ამბები: მოჰამედ კალონი და მანუელი ბლაზი აცხადებენ, რომ ნანდროლონს არ გაჰკარებიან. ბლაზი „პარმაში“ თამაშობს და მას 14 სექტემბერს „პერუჯას“ 3:0 ძლევის დროს მოედანზე დოპინდით გამოსვლას აბრალებენ, ხოლო „ინტერის“ თავდამსხმელ კალონს 27 სექტემბერს „უდინეზესთან“ 0:0-ის შეხვედრაში ბრალდება ნანდროლონით ძალთა მოკრება, მაგრამ როგორც ერთის, ასევე მეორის უარი სურათს არ ცვლის. როგორც ჩანს, მათ ექვსი ან რვათვიანი დისკვალიფიკაცია ელით.

პაპუნა კედია

ბექემი ამოიცვეს

დევიდი ყველგან და ყველაფერში

აი, ეს 22 წლის გოგონა ვნებიანი ლორენა გახლავთ და დევიდ ბექემის სახელობის საცვალს წარმოგვიდგენს. ლორენა ამბობს: ეს საცვალი სექსუალური და ბრწყინვალეა, ისეთია, როგორიც თავად დევიდი. და რაღა დარჩენია ადამიანს, რომელსაც აინტერესებს მართლა ასეა თუ არა? მადრიდში ჩასვლა და „რეალის“ საკლუბო მაღაზიის მონახულება. ცნობისთვის: ბექემის სახელობის საცვალი მხოლოდ გოგონებისთვის კი არ შეუკერავთ, კაცებისთვისაცაა, ასე რომ...

ისე, გამყიდველმა გოგონამ თქვა, ეს თეთრეული მოდაშია და საშობაოდ მას მართლაც ბევრი მადრიდელი თუ მადრიდის სტუმარი ყიდულობსო.

კი მაგრამ, რატომ?

იმიტომ, რომ ხალხი ბექემით ვერ ძღება. მეტი უნდა, ყველგან და ყველაფერში — განმარტა „რეალში“ მომუშავე და ალბათ მარკეტინგზე ფიქრში დაღლილმა მავანმა მოხელემ.

პაპუნა კედია

ტორტს მორთულობა სჭირდება

მეიერ მალდინის ტოიოტა დაანაყრებს

პაოლო მალდინი იმედოვნებს, რომ მისთვის და მისი გუნდისთვის ასე წარმატებული წელიწადი საკონტინენტთაშორისო თასის ალმართვით დასრულდება — კვირას იოკოჰამაში „მილანი“ „ბოკა ხუნიორსს“ ხვდება.

„გასული 12 თვე ისედაც დახუნძლული გვქონდა, მაგრამ საკონტინენტთაშორისო თასი ტორტის ბოლო მორთულობასავით იქნება. „ბოკა“ კარგი გუნდია, არგენტინული გუნდებისთვის დამახასიათებელი ტექნიკით და იმავდროულად ევროპული კომპაქტურობით, მაგრამ ეს ჯილდო ჩვენ გვშია, რადგან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა ლეგენდარულმა კაპიტანმა.

„ბოკას“ მწვრთნელი, კარლოს ბიანკი კი ამ მატჩში ფავორიტს ვერ ხედავს:

„ორივე გუნდს 50 პროცენტი შანსი აქვს, მაგრამ ჩემი გუნდი ფიზიკურად დიდებულ ფორმაშია. ეს ჩემთვის მეოთხე ფინალია და სულაც არ არის მეტად დაძაბული, ვიდრე ცხრა წლის წინ იყო, როდესაც მე „მილანი“ დავამარცხე“.

პაპუნა კედია

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მილება მოსდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ერვინი და კევინი

ჰიონესმა ბალაკოვი დაზვერა

ბერლინის „ჰერტა“ დროებით ანდრეას ტომმა ჩაიბარა, მაგრამ კლუბის გენერალური მენეჯერი დიტერ ჰიონესი ახალი მწვრთნელის ძიებაშია. ტომის თავკაცობით გამართულ პირველ მატჩში „ჰერტამ“ დორტმუნდში ქულა კი აიღო, თუმც გერმანული მედიის ცნობით, ჰიონესს დროებით მწვრთნელის შეცვლა კრასიმირ ბალაკოვით სურს. ბერლინელთა პატრონი ბულგარელს უკვე შეხვედრია და უსაუბრიათ კიდეც.

37 წლის ბალაკოვი ამჟამად „შტუტგარტში“ ფელიქს მაგათის თანაშემწეა, მაგრამ უკვე დამოუკიდებლად მუშობა ამოუჭრია გულში და მზადაა, თანაშემწეობას შეელიოს.

ჰიონესის თქმით, იგი მომავალი წლის დასაწყისში „ჰერტას“ აუცილებლად დაუნიშნავს ახალ თავკაცს.

შტუტგარტელთა მთავარმეგოლე კევინ კურანის აგენტი კარლ-ჰაინც ფორსტერი კი კლუბის პრეზიდენტ ერვინ შტაუბს შეხვდა და თავისი კლიენტის მომავალზე ეჭუკჭუკა.

კურანის კონტრაქტი 2005 წლის ბოლოს იწურება. კლუბს სურს, რომ კონტრაქტი 2008 წლამდე გაუხანგრძლივოს და სანაცვლოდ სეზონურ ჯამაგირს 3 მილიონ ევროს ჰპირდება. ფეხბურთელი ამ პირობას თუ არ დაყაბულდა, 2006-ის იანვრიდან თავისუფალი აგენტი გახდება და სხვა კლუბს მუქთად ერგება, რაც „შტუტგარტის“ სალაროს არ აწყობს. ერვინ შტაუბი ყველანაირად ცდილობს, რომ კურანი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაითანხმოს. საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზეა.

ვაჟა ხუციშვილი





დიტერ ჰიონესს „ჰერტასთვის“ კრასიმირ ბალაკოვი შეუგულებია



ლიდსი ბირჟაზე ალარ დადგება

ფეიხის მისვლამდე ქამარს მაკენზი უჭერს

გუშინ გაცხადდა: „ლიდს იუნაიტედის“ გაჭირვებას ბოლო გაისად 19 იანვრამდე მოეღება. მევალეებმა კლუბის ახლანდელ უფროსობას ამ დღემდე დაუთქვეს „ლიდსის“ გაყიდვის ბოლო ვადა.

მოგეხსენებათ, მყიდველმა საკუთარ თავზე 80 მილიონი გირვანქა ვალის გასტუმრებაც უნდა აიღოს, რომელიც კლუბს ბოლო წლებში დაუგროვდა და რომელიც კლუბის აქციათა ბირჟაზე გატანის მიზეზი გახდა.

თუმცა „ლიდსის“ თავმჯდომარე, პროფესორი ჯონ მაკენზი ირწმუნება, ქამრის წელზე შემოჭერით საერთო ვალის 60 მილიონამდე შემცირება უკვე მოვახერხეთო.

კლუბის მყიდველი კი მოგეხსენებათ, ვინც არის. ბაჰრეინის სამეფო ოჯახის წევრმა, შეიხმა აბდულრაჰმან ბინ მუბარაქ ალ ხალიფამ ორ საუდელ ბიზნესმენთან და მავან აზიურ კომპანიასთან ერთად „ლიდსის“ ყიდვის სურვილი უკვე გამოთქვეს და ვინაიდან, ჯიბეზე ხელის გამკვრელი სხვა არავინ გამოჩენილა, კლუბის ახალი პატრონები ალბათ ესენი იქნებიან.

ისიც ითქვა, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში არავინ გაიყიდება, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელსაც მარკ ვიდუკას ყიდვა სურდა, უარი უკვე შეუთვალეს.

ირაკლი ნინიძე

ინგლისი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ბრედფორდი 0:1 ვესტ ბრომვიჩი

0:1 დობი (88)

კარდიფი 2:2 პრესტონი

0:1 ფულერი (52), 1:1 ლონგლი (63), 1:2 ჰილი (84), 2:2 თორნი (90)

შეფილდ იუნ. 2:0 უოლსოლი

1:0 პეშისოლიდო (41), 2:0 მონტგომერი (52)

ვესტ ჰემი 0:1 სტოკი

0:1 რიჩარდსონი (33)

კრისტალ პალასი 1:3 ძრიუ

0:1 ეშტონი (8), 0:2 ვარნი (16), 1:2 ბატერფილდი (78), 1:3 ეშტონი (86)

ვესტ ბრომვიჩი	22	13	5	4	33:18	44
შეფილდი	22	12	4	6	35:24	40
ნორვიჩი	22	11	7	4	30:20	40
იფსვიჩი	22	11	5	6	43:32	38
რედინგი	22	11	4	7	29:23	37
კარდიფი	22	9	8	5	39:25	35
სანდერლენდი	22	9	8	5	25:18	35
უიგანი	22	9	8	5	29:23	35
ვესტ ჰემი	22	8	10	4	28:18	34
პრესტონი	22	9	5	8	32:26	32
ქრიუ	22	9	4	9	25:26	31
მილუოლი	22	7	8	7	24:23	29
ნოტინგემი	22	7	7	8	34:31	28
ბარნლი	22	7	7	8	32:36	28
უოლსოლი	22	7	6	9	24:25	27
ჯილინგემი	22	7	6	9	28:35	27
ქოვენთრი	22	5	11	6	27:29	26
როტერჰემი	22	6	8	8	20:29	26
უოტფორდი	22	6	7	9	23:27	25
სტოკი	22	6	5	11	25:32	23
დერბი	22	5	7	10	24:36	22
კრ. პალასი	22	5	7	10	25:38	22
ბრედფორდი	22	4	5	13	19:33	17
უიმბლდონი	22	4	2	16	23:49	14

პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

ბეირა მარი 2:0 ბელენენსეში

1:0 ვინბარდი (78), 2:0 რუი დოლორეში (89)

პორტუ	13	10	3	0	31:10	33
სპორტინგი	13	9	1	3	25:15	28
ბენფიკა	13	8	3	2	25:11	27
ბეირა მარი	13	8	2	3	23:13	26
ბრაგა	13	7	3	3	15:12	24
ბოავიშტა	13	6	5	2	14:7	23
მარიტიმუ	13	5	6	2	15:13	21
ნასიონალი	13	6	1	6	23:16	19
ალვერკა	13	5	2	6	16:15	17
რიუ ავე	13	4	4	5	14:13	16
ბელენენსეში	13	3	6	4	17:21	15
აკადემიკა	13	4	2	7	13:17	14
ლეირია	13	4	2	7	14:23	14
ჟილ ვისენტე	13	3	4	6	19:19	13
მორეირენსე	13	3	3	7	9:19	12
გიმარაეში	13	2	4	7	14:20	10
ამადორა	13	2	1	10	9:33	7
ფერეირა	13	2	0	11	5:24	6

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

1/8 ფინალი

ბრაზილია 2:1დ.დ.(1:1) სლოვაკეთი

0:1 სებო (61), 1:1, 2:1 დუდუ (83, 95, *ვერცხლის გოლი*)

პარაგვაი 0:1 *ესპანეთი*

0:1 სერხიო გარსია (66)

***საამიროები* 1:0 ავსტრალია**

0:1 მატარი (89)

ირლანდია 2:3დ.დ.(2:2) *კოლუმბია*

0:1 პარეა (11), 0:2 მონტანო (73), 1:2 ბოილი (85), 2:2 მაკკარტი (90), 2:3 კარილიო (104, *ვერცხლის გოლი*)

1/4 ფინალის წინასწარ

კანადა — ესპანეთი; აშშ — არგენტინა; კოლუმბია — საამიროები; იაპონია — ბრაზილია

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80

ვლადიკავკაზში ლომს ელიან

ალანია ვინი შეფერს იფერებს



დაახლოებით ერთი თვის წინ ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა და იმავდროულად „სპარტაკ-ალანიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრ ძასოხოვმა განაცხადა, რომ კლუბის სპონსორი საქციო საზოგადოება „ისტოკ“-ი გახდება და აქციათა საკონტროლო პაკეტიც მას გადაეცემა.

ახალი პატრონის მოსვლას ცვლილებები მოჰყვა. „სპარტაკ-ალანიას“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ბახვა თედეევი იტალიაში სტაჟირებაზე გაგზავნეს. მის შემცვლელად თავდაპირველად იური სეკინაევი დაასახელეს, რომელიც შარშან ვლადიკავკაზელთა თავკაც ვლადიმირ მუნტიანის თანაშემწე გახლდათ. სეკინაევს სამწვრთნელო ლიცენზია გერმანიაში აუღია და ახლა იქ სამოყვარულო გუნდში მუშობს.

სხვა ვარიანტებიდან აღსანიშნავია ვალერი გაზაევისა და ბახვა თედეევის დუეტი, თუმც გაზაევი და ვლადიკავკაზური კლუბის ახალი ბოსები ვერ მორიგდნენ. ერთ-ერთმა ჩრდილოოსურმა სპორტულმა გაზეთმა კანდიდატთა შორის შენოლ გიუნეშიც მოიხსენია, მაგრამ ამ ვერსიამ გულშემატკივრები მხოლოდ გაამხიარულა.

„სპარტაკ-ალანიის“ მეპატრონეებს ამჟამად ყველაზე რეალურად გერმანელი ვინფრედ შეფერის ვარიანტი მიაჩნიათ. 53 წლის მწვრთნელი ჯერჯერობით კამერუნის ნაკრების თავკაცია, მაგრამ, როგორც ამბობენ, შეფერთან ვლადიკავკაზელებმა წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და 15 დეკემბერს ჩრდილო ოსეთის დედაქალაქში ელიან.

გერმანელმა კამერუნი 2000 წელს ჩაიბარა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მის ხელქვეით გუნდმა აფრიკის თასი მოიგო, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, გასულ ზაფხულს კი კონფედერაციის თასის ფინალში საფრანგეთთან დამარცხდა.

კამერუნის ფეხბურთის ფედერაცია უკმაყოფილო მაშინ დარჩა, როცა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა. მიუხედავად ამისა, გერმანელი პოსტზე დატოვეს, მაგრამ ახლა შესაძლოა, აფრიკიდან ოსეთში აღმოჩნდეს.

შეფერს ფაფარივით თმის გამო „თეთრი ლომი“ შეარქვეს. ერთხელ მან თანაშემწე ნკონო, რომელსაც ჯადოქრობას აბრალებდნენ, საჯაროდ დაიცვა, რისთვისაც „თეთრ მჩხიბავადაც“ მონათლეს.

ვაჟა ხუციშვილი

მწეველ-რეციდივისტი

ბუნდესმეჯარეს დაბოლება ნაყვარებ

გერმანიის 20 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ მეკარე ალექსანდრ ვალკეს შარდში ჰაშიშისა და მარიხუანის ნაშთი აღმოუჩინეს.

ნაშთს ტეტრაჰიდროკანაბინოლი ჰქვია და ვალკემ ის შარდთან ერთად 2 დეკემბერს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მიმდინარე მსოფლიოს პირველობის ჯგუფურ ეტაპზე ამერიკელებთან 1:3 მარცხის მერე გამოჰყო.

ვალკე ამბობს, რომ ჰაშიში მსოფლიოს პირველობამდე ერთი თვით ადრე მოსწია.

მაგრამ მის ამ ცნობას სპეციალისტები ეჭვის თვალით უყურებენ, რაკიღა მათი აზრით, ერთი თვე სრულიად საკმარისია საიმისოდ, ტეტრაჰიდროკანაბინოლი ორგანიზმიდან რომ გამოვიდეს.

კიდევ მეტი: დოხტურები თვლიან, რომ მოსაწევი სულ ახლახანაა მოწეული, სავარაუდოდ, სულაც მსოფლიოს პირველობის დაწყების მერე, ანუ 24 ნოემბრიდან.

სხვათა შორის, ვალკე მოსაწევზე ადრეც ჩავარდნილა. 2001 წელს ის ბრემენშივე გამოიჭირეს, წლით გვიან კი — უკვე მალიორკაზე, სადაც გუნდთან ერთად წინასასეზონოდ ემზადებოდა.

თუკი ამ ორ შემთხვევას ის შედარებით იოლად გადაურჩა, ამჯერად სერიოზული სასჯელისგან ვეღარაფერი იხსნის.

სხვა რომ არა იყოს რა, დიეგო მარადონას შემდეგ ის ხომ მხოლოდ მეორე ფეხბურთელია, ფიფას ეგიდით გამართულ ტურნირზე შარდში აკრძალული ნივთიერება რომ დაუდგინდა!

1994 წელს აშშ-ის მსოფლიო, პირველობაზე ჩავარდნილ დიად არგენტინელს, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, 15-თვიანი დისკვალიფიკაცია ერგო. ვალკეს, როგორც რეციდივისტს, ალბათ უფრო მკაცრად მიადისკვალიფიცირებენ.

ლევან კელაურაძე

ალექსანდრ ვალკე

ბოიკოტი გაუმართლებელია



გადაღება ალექსანდრე ფოფალაძის

ჩვენ მივდივართ არჩევნებზე!

გუშინ „ეროვნულზე" ვეტერანი ფეხბურთელები შეიკრიბნენ და მოახლოებულ არჩევნებზე ისაუბრეს. გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ, პოლიტიკაში არ ვერევით და ჩვენი საქმე მარტო ფეხბურთია ო, მაგრამ აზრის ხმამაღლა გამოთქმისგან თავი მაინც არავის შეუკავებია. ვარდების რევოლუციას ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ქართული სპორტული სამყაროდან პირველი გამოეხმაურა და სხვა სპორტსმენებსაც მოუწოდა, მაგალითი აეღოთ.

პრესკონფერენციის ბოლოს სახელდახელოდ ერთობლივი დადგენილებაც შეადგინეს, მანამდე კი თავიანთი სათქმელი ცალ-ცალკე თქვეს.

საქართველოს ახალი მწვრთნელი ჰყავს
ჩვენ ვინმეს კი არა, საქართველოს მომავალს ვემხრობით





გადაღება ალექსანდრე ფოფალაძის

ილია დათუნაშვილი: როგორც იქნა, საქართველოში დასრულდა კომუნისტური სისტემის მმართველობა და მოვიდა საღი აზრი. ჩვენი ვალია, ამ ახალგაზრდებს გვერდში დავუდგეთ და თუკი მხარს სხვებიც აგვიბამენ, მოგებულები დავრჩებით. პოლიტიკა ჩვენი საქმე არაა და მასში ჩარევას ყოველთვის ვერიდებოდით, მაგრამ ღღეს აზრის გამოთქმა აუცილებლად მივიჩნიეთ.

სერგო კოტრიკაძე: იმ ხალხის დიდი ნაწილი, ვინც ბოლო არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა, თავის დროზე ჩვენს გვერდით იდგა და დიდ სიხარულს თუ ტკივილს ჩვენთან ერთად იზიარებდა. ახლა კი დროა, პირიქით მოხდეს. ეს მათ ნამდვილად დაიმსახურეს. მოვუწოდებ ყველას, გონს მოეგოს და 4 იანვრის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

გელა კეტაშვილი: მთელი ცხოვრება ცრუ დაპირებების ხანაში გავატარეთ, შედეგი კი არასოდეს გვინახავს. დროა, თვალი გავახილოთ და ახალი ძალის გვერდით დავდგეთ. ჩვენი ვალია, არა მარტო თვითონ მივიღოთ 4 იანვრის არჩევნებში მონაწილეობა, არამედ ყველა ნათესავსა თუ ახლობელს მოვუწოდოთ, რომ მანაც იგივე გააკეთოს.

მურთაზ ხურცილავა: კითხვა, ჩატარდეს თუ არა არჩევნები, არც უნდა დაისვას. საქართველოს კეთილდღეობისთვის ეს აუცილებელია და ბოიკოტი გაუმართლებელი იქნება. პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ ვერაფრით დავუჭერ მხარს იმ პოლიტიკოსებს, არჩევნების საწინააღმდეგოდ რომ გამოდიან. ეს სიკეთეს არ მოგვიტანს.

ოთარ გაბელია: ჩვენ ვინმეს კი არა, საქართველოს მომავალს ვემხრობით. ეს ახალგაზრდები პატივისცემას ნამდვილად იმსახურებენ, ბოიკოტის მომთხოვნებისგან განსხვავებით.

მიხეილ ჯოჯუა: ფეხბურთელები ვართ და ჩვენსავე ენაზე ვიტყვით. მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა მწვრთნელი უდგას. ჩვენი ვალია, მხარი დავუჭიროთ. თუკი ვინმე გვქომაგობდა და ვუყვარვართ, ყველას მოვუწოდებთ, იგივე გააკეთოს.

გოჩა მაჩაიძე: ქაოსიდან სასწრაფოდ უნდა გამოვიდეთ. თუკი ეს მოვახერხეთ, ქვეყანასაც ეშველება და სპორტსაც.

დაბოლოს, სახელდახელო დადგენილებაც: „ჩვენ, ვეტერანი ფეხბურთელები, მივდივართ არჩევნებზე და მხარს ვუჭერთ ახალ მთავრობას".

ოთარ გალლაძელიძე



გადაღება ჯემალ ჯანელიძის

გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა შვებულებიდან წინა სხდომა გამართა. დისციპლინარებმა მუშაობა ბიელორუსი ტურის „დილა" — „დინამოს" მატჩის ამბების გარჩევით დაიწყეს. ითქვა, პრესკონფერენცია არ გამართულაო და მიზეზიც უცბად ახსნეს — გორელმა გულშემატკივრებმა სტადიონზე აუტანელი სიტუაცია შექმნესო

რატომ აგვიანებთ, თამაშია თუ პურმარილი?!

ასე აღარ შეიძლება, მკაცრად მოვითხოვთ სტადიონზე წესრიგის დამყარებასო, დაასკვნეს დისციპლინარებმა და მკაცრი გაფრთხილება გამოუტანეს გორელებს.

ბოლო ტურში „ლოკომოტივი" — „თბილისი" შვიდი წუთის დაგვიანებით დაიწყო. ფეხბურთელებმა ორი წუთით დააყოვნეს მოედანზე გამოსვლა, ხუთი წუთიც პეტარდებისგან წარმოქმნილი ბოლის გაფანტვას დასჭირდა. ამის გამო გუშინ ორივე კლუბი 1000-1000 ლარით დაჯარიმეს.

სადისციპლინო კომიტეტის სხდომებს ისე არ ჩაუვლია, ფეხბურთელები გინებისთვის არ გაესამართლებინოთ. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე იყო. გორელი გულშემატკივრებისგან წონასწორობიდან გამოყვანილ დანამოელ ლადო ბურდულს გინება ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად და 50-ლარიან ჯარიმად დაუჯდა. დისციპლინარებმა მსაჯის გინება უფრო დიდ დარღვევად შეაფასეს და სიონელ გელა ფანჩულიძეს ორმატჩიანი უქმობა გამოუწერეს. იგი 100 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

ტორპედოელმა ანდრი პოროშინმა „დილასთან" მატჩის შემდეგ მთელ მსაჯთა ბრიგადას აგინა, ამიტომ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 150-ლარიანი ჯარიმით დასაჯეს.

გინება-ჩხუბი იყო პირველი ლიგის მცხეთის „ვიტ ჯორჯია" — „ჩიხურას" მატჩში. მასპინძელი თემურ სამსიანი და სტუმარი კოტე გუგუნავა სიტყვიერი ურთიერთშეურაცხყოფის შემდეგ კრივზე გადავიდნენ. მსაჯმა ორივე დაითხოვა მოედნიდან, მაგრამ ჩხუბი გასახდელშიც გაგრძელდა და ლამის გუნდურ თავპირისლეწვაში გადაიზარდა. დისციპლინართა ვერდიქტი მოკრძალებული იყო — დამნაშავეები 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

„თბილისი" — „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრის დებიუტში სტუმართა ერთ-ერთ მწვრთნელს მერაბ კოჭლაშვილს მოედანზე შევარდნა ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. უფრო დიდი შევარდნა იყო ოზურგეთულ სარბიელზე, მაყურებელი მოედანზე შეცვივდა და პოლიციამ გაჭირვებით შეძლო მათი დაშოშმინება. ამ საკითხის გარჩევისას დისციპლინარებს ლამის თვალზე ცრემლი მოადგათ — ისედაც უპატრონოდ დარჩნენ გურულები და შევიცოდოთ, 250-ლარიანი ჯარიმა ვაკმაროთო. ასეთია ქართული ჰუმანიზმი.

პაატა კვანტალიანი

ანდრი პოროშინმა მსაჯებს ქართულ-კაცურად აგინა

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი
სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში
შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში



სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ვედრება

ვინ ვართ ჩვენ, ყაზახები?

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას ყველგან დიდი რეზონანსი მოჰყვა, თქვენ წარმოიდგინეთ, საფეხბურთო თვალსაზრისით უმცირეს ყაზახეთშიც კი, ცოტა ხნის წინ რომ გახდა საფეხბურთო ევროოჯახის წევრი

ყაზახეთი

ყაზახეთი ჩვენი მეტოქეა მეორე შესარჩევ ჯგუფში, თანაც ისეთი, მისი ძლევა თანაჯგუფელებს არ უნდა გაუჭირდეთ. მაგრამ, მოდით, ყაზახებსაც ვკითხოთ. ალმაატაშიც ჯგუფიდან გაღწევის შანსებზე საუბრობენ. მეტიც, იქაური გაზეთი „ქარავანი“ ფიქრობს, რომ მათ ნაკრებს საშინაო მატჩებში ყველასთან აქვს წარმატების შანსი. ის კი არა, „ალმაატა ჰერალდმა“ გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა მოაწყო და კაცს რომ გაგეცინება, ისეთი შედეგი მიიღო — მეტოქეთათვის უცნობ ყაზახეთს თურმე დიდი სიურპრიზის მოხდენა ძალუძს. სხვაა ქომაგის სურვილი და სულ სხვა პროფესიონალის მოსაზრება. ალმაატელი ჟურნალისტები მათი ნაკრების რუს თავკაცს ლეონიდ პახომოვს გაესაუბრნენ და... ისიც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

მაშინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავდა ფრანკფურტულ კენჭისყრაზე, ლეონიდ პახომოვი მოსკოვში, საკუთარ ბინაში ტელევიზორით ადევნებდა თვალს ცერემონიალის პირდაპირ ტრანსლაცია. ამ კაცს იმდენი უნერვიულია, ცოლის საპატრონო გამხდარა. ფერზე მოსულმა პახომოვმა ყაზახ ჟურნალისტებს ეს უთხრა:

— ძალიან ვინერვიულე. მინდოდა, გაგვმართლებოდა, რაც შეიძლება სუსტი მეტოქეები შეგვხვედროდა...

— მერე შეისმინა ღმერთმა თქვენი ვედრება?

— ბოლომდე არა. რუსეთს უფრო გაუმართლა, ვიდრე ჩვენ. ჩვენი ჯგუფი იმითაა რთული, რომ ყველა გუნდი ერთი დონისაა. არ შეიძლება, ალბანეთი, საქართველო ან საბერძნეთი ვინმემ აუტსაიდერებად ჩათვალოს და დანია, თურქეთი და უკრაინა — ფავორიტებად. ესენი ერთმანეთში ბევრ ქულას დაკარგავენ, რაც ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება.

— ვინ ვართ ჩვენ, ყაზახეთის ნაკრები?

— ჩვენ ვართ უცნობნი და იდუმალნი და ეშინოდეთ ჩვენი. კი, ბატონო, ჩვენ სუსტები ვართ თურქეთსა და საქართველოზე, მაგრამ ისეთ ტურნირზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევია, მოგება ჟინით, სულისკვეთებითაც შესაძლებელია.

— ავიღებთ სამ-სამ ქულას საშინაო თამაშებში? საერთოდ, რა სხვაობა იქნება ჩვენი ნაკრების საშინაო და გასვლით მატჩებს შორის?

— ჩვენ შევეცდებით, ყველგან მოვიგოთ. მაგრამ გვაქვს ერთი მინუსი. ყაზახეთის ნაკრებს ჩემს ხელში ერთხელაც არ უთამაშია შინაურ კედლებში. მაგრამ წარმომიდგენია, რა განწყობით ითამაშებენ შინ ჩემი ბიჭები და როგორ გვიქომაგებენ გულშემატკივრები.

— როგორ მოემზადებით შესარჩევი ეტაპისთვის?

— ჩვენ კვიპროსის ტურნირზე მიგვიწვიეს. იქ საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს და მოხარული ვარ, რომ ერთ-ერთ მეტოქეს ახლოს გავიცნობთ. ამ ტურნირის გარდა შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ორ ამხანაგურ თამაშს გავმართავთ და მერე ჩვენი მარიფათიც გამოჩნდება.

პაატა ძვანტალიანი



ლეონიდ პახომოვი



ყაზახეთის მეკარე იური ნოვიკოვი

შარშან ფიგუს პორტუგალიამ ყაზახებს 1:0-ის მეტი ვერ მოუგო

პანას ქინქლაძე მოეწონა, მაგრამ...

ძუნწთა წუწუნი გიოს ხელფასის გამო

გიორგი ქინქლაძის ბერძნულ „პანათინაიკოსში“ გადასვლის საკითხი დღეს-ხვალ უნდა გაირკვეს. ჩვენიანი ამჟამად მანჩესტერშია და ბერძნების ზარს ელის.

ქინქლაძემ ათენში თავისი სიტყვა უკვე თქვა, გუნდთან ერთად რამდენჯერმე ივარჯიშა კიდეც და ვიდრე „პანათინაიკოსი“ ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის მატჩისთვის ემზადებოდა, გიოც მანჩესტერში დაბრუნდა. გლაზგოდან ათენში გუშინ დაბრუნდა „პანათინაიკოსიც“ და ახლა ქინქლაძესთან საბოლოო მოლაპარაკებას დაიწყებს. ისე კი, ეს მოლაპარაკება აქამდე დაწყებულიც უნდა ყოფილიყო და კონტრაქტის გაფორმებით დამთავრებულიც, რომ არა „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელთა, შეიძლება ითქვას, სიძუნწე.

საქმე, აი, ასეა: ბერძნები ქართველი ფეხბურთელის ოსტატობით თურმე კმაყოფილნი დარჩენილან და წინა კვირას კონტრაქტის გასაფორმებლადაც მიუწვევიათ. ქინქლაძე დათანხმდა, თუმც ფინანსური პრობლემების გამო ხელმოწერა არ შემდგარა. ბერძენი აგენტის პარის პროდომისის თქმით, რომელსაც კლუბის უფროსობასთან დიდი ხნის ურთიერთობა აქვს, „პანათინაიკოსს“ ძალიან სურს ქინქლაძის გადაბირება, მწვრთნელი იცხაკ შუმი სახალხოდ ამბობს, გუნდში სწორედ ასეთი ფეხბურთელი მჭირდებაო, თუმც როცა საქმე ფულზე, ხელფასზე მიდგება, ბერძნები წუწუნებენ.

— ქინქლაძეს „პანათინაიკოსი“ ხელფასად იმდენს სთავაზობს, რამდენსაც საშუალო დონის ბერძენ ფეხბურთელს უხდის. ქინქლაძე კი, იცხაკ შუმიც ამბობს, გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელია და უხერხულიც კია, მას „ბერძნული“ ხელფასი დაუნიშნო — გვითხრა პროდომისმა.

თავად გიორგი ქინქლაძე კი შესაძლო ტრანსფერის ფინანსურ საკითხებზე არაფერს ამბობს და ბერძნებისგან ზარს ამ კვირაში ელის. მისი და კლუბის ხელმძღვანელობის შეხვედრა გლაზგოშიც იგეგმებოდა, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო ეს შეხვედრა არ შედგა.

ერთი სიტყვით, „პანათინაიკოსი“ ქინქლაძის შესაძლებლობებში დარწმუნდა, ფეხბურთელი თანახმაა, საბერძნეთში სეზონის ბოლომდე ითამაშოს, ოღონდ იმ პირობით, თუ „პანათინაიკოსი“...

კობა ინასარიძე





ხიზანეიშვილი წმენდაში მოჰყვა

თბილისის „დინამოდან“ მოსკოვის „დინამოში“ დაბრუნებულ ოთარ ხიზანეიშვილს საქმეები ვერ აეწყო. მოსკოველთა ჩეხმა თავკაცმა იაროსლავ გუებიკმა ჩვენებურის სამსახური არ ისურვა. რამდენიმედღიანი ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელმა ხიზანეიშვილს სარეზერვო გუნდში გადასვლა შესთავაზა. ქართველი მცველის გარდა გუებიკმა მეორე ახალწვეული, ვიღაც ბრატჩიც ფარმ-კლუბის მწვრთნელს მიაბარა, ხოლო გუნდის კაპიტანი, 29 წლის ალექსანდრ ტოჩილინი ტრანსფერზე დააყენა.

ერთი სიტყვით, გუებიკმა „დინამოში“ წმენდა დაიწყო და, სამწუხაროდ, დაწუნებულთა შორის ოთარ ხიზანეიშვილიც მოხვდა. თუმც „ხიზანას“ ერთი მცირე შანსი მაინც დაუტოვეს: მას სარეზერვო გუნდში ვარჯიშით შეეძლება, გუებიკს თავი მოაწონოს.

3 იანვარს მოსკოვის „დინამო“ თურქეთში წავა ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. ცხადია, გუნდს ხიზანეიშვილი არ გაჰყვება. ოთარი ცოტა ხანს „დინამოს“ სარეზერვო გუნდში ივარჯიშებს და თუ სხვა უცხოური კლუბის ვარიანტი გამოუჩნდება, ალბათ მოსკოვს დატოვებს. გეხსომებათ, ხიზანეიშვილის გადაბირების სურვილს შვეიცარიული „ბაზელი“ ამჟღავნებდა, თუმც ეს საქმე ჯერჯერობით ამაზე წინ არ წასულა.

კახა შალამბერიძე

ჩხეტიანს ზამთარში პეჩთან ჯდომა არ უნდა

უნგრეთის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებისთანავე ბორსოდი ლიგის დებიუტანტი „პეჩი“ ქართველმა ნახევარმცველმა კახა ჩხეტიანმა დატოვა. იგი რამდენიმე დღეა, მშობლიურ ქუთაისში ჩამოვიდა და უკეთესი ვარიანტების მოლოდინში ატარებს შვებულებას.

კახას გუშინ შევეხმიანეთ და სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ

— უკეთესი წინადადებები მაქვს და „პეჩიდანაც“ ამიტომ წამოვედი. ახლა ვისვენებ და მალე ახალი კლუბის ამბავსაც გავიგებ.

— უნგრეთში დაბრუნება გამორიცხულია?

— ასეა. „პეჩთან“ უკვე მოვაგვარე ყველა საკითხი და იქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ.

— მხოლოდ უკეთესი ვარიანტების გამო დატოვე „პეჩი“ თუ...

— სხვა არაფერი მომხდარა. კლუბს კეთილი სურვილებით დავშორდი.

— რომელი კლუბები გიწვევენ?

— ჯერჯერობით ვერ გეტყვი, დაზუსტება არ შემიძლია და ტყუილის თქმა რაში მჭირდება.

— ქვეყნებიც არ იცი?

— უკრაინაში ან რუსეთში წავალ. მითხრეს, რომ იქაური კლუბები არიან ჩემით დაინტერესებულნი და ვნახოთ, რა გამოვა. ჯერ არსად მეჩქარება. მალე ალბათ ყველაფერს გავიგებ.

— „პეჩი“ შენს სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს?

— რა თქმა უნდა, გარკვეული თანხა იქნება გადასახდელი. ამ კლუბთან კონტრაქტი ხომ სეზონის ბოლომდე მაქვს.

— „პეჩში“ სეზონის წინ „დებრეცენიდან“ გადახვედი. რატომ გადადგი ეს ნაბიჯი? „დებრეცენი“ ხომ უნგრეთში საუკეთესოთაგანია..

— ჰო, მაგრამ საქმე ასე აეწყო... კონტრაქტი მიმთავრდებოდა და თან მენისკის ოპერაცია გავიკეთე. ასეთ ფეხბურთელთან ურთიერთობის გაგრძელებისგან თავი შეიკავეს და მეც „პეჩში“ გადავედი.

— სადაც ბევრი მატჩი გაგიცდა...

— მენისკმა ბევრი დამაკარგვინა. ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე განვაახლე ვარჯიში და, ცხადია, ფორმის აღდგენას დრო სჭირდებოდა. ბოლოს, როცა საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი, საკმაოდ ხშირად ვთამაშობდი.

კახა შალამბერიძე

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ღირსსახსოვარი ძველი ამბების დასტა, ოღონდ ახლებურად გაფერადებული. ვგონებთ, მიმზიდველობა ამაში იმდენადაა, რომ რუბრიკად შემოგთავაზოთ. დასაწყისი კი ასეთია – 1972 წელი, როცა ზეპ მაიერი, ფრანც ბეკენბაუერი, პაულ ბრაიტნერი, გიუნტერ ნეცერი და გერდ მიულერი თავიანთ ამხანაგებითურთ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს წარმოადგენდნენ და ევროპის ჩემპიონატის ფინალში იმ საბჭოთა ნაკრებს გადაეყარნენ, მურთაზ ხურცილავა რომ ლიდერობდა და კაპიტნობდა. დანარჩენზე კი ბატონი მურთაზი მოგითხრობთ...

დავით თავართქილაძე

სამი ჯებირი ჩემპიონობისკენ

რა ხდებოდა საბჭოთა და ბუნდეს ბანაკებში

ევრო 72-ის ფინალი: მურთაზ ხურცილავა ული ჰიონესის და პაულ ბრაიტნერის (წინა პლანზე) გარემოცვაში

ევროპის 1972 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქეები ესპანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია და კვიპროსი იყვნენ. ექვსი მატჩიდან არც ერთი არ წაგვიგია, ოთხი მოვიგეთ და ორი ფრედ ვითამაშეთ. გადამწყვეტი გამოდგა ბოლოსწინა ტურის მატჩი სტუმრად ესპანეთთან.

ესპანელებს მაშინ საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავდათ. მოსკოვურ შეხვედრაში მათ 2:1 მოვუგეთ. გასვლაზე სევილიაში ვეთამაშეთ. ერთობ გაგვიჭირდა, რთული თამაში იყო, მაგრამ ესპანელების ზეწოლას გავუძელით. შეხვედრა 0:0 დამთავრდა. ყველამ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ჩვენი მეკარე ევგენი რუდაკოვი განსაკუთრებულად უნდა გამოვყო — ეს ჩვენი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი იყო შესარჩევ ეტაპზე.

თუმც ჩრდილოეთ ირლანდიასთან გასვლით მატჩზეც უნდა ვთქვა. ჩავედით ბელფასტში და სასტუმროდანაც არ გავიხედავდით, ყველგან ჯორჯ ბესტის სარეკლამო ფირნიშები იყო, ყველა მასზე ლაპარაკობდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა, რომ ყველანაირ ნაწარმს ბესტი უკეთებდა რეკლამას — ძეხვეულსაც კი. იქაური ახალგაზრდობა ბესტზე გიჟდებოდა, სტადიონზეც ერთი წიოკ-კივილი იყო ატეხილი. ალბათ ყველამ იცის, რომ ამ შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშა რევაზ ძოძუაშვილმა და ბესტიც ამოკეტა. მატჩი 1:1 დამთავრდა.

ერთი სიტყვით, შესარჩევი ჯგუფი წარმატებით დავძლიეთ. თავდასხმაში ჩვენს გუნდში ანატოლი ბიშოვეცი გამოირჩეოდა. ის ძალიან ტექნიკური ფორვარდი გახლდათ, ყველაფერი ჰქონდა — მატაობა, „პადსებია", გოლის ალღო... თუმც ფინალურ ეტაპზე ბიშოვეცი არ გვყოლია. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პონომარიოვმა ბელგიაში ბანიშევსკის უხმო. ამ თავდამსხმელს თითქმის ერთი წელი არ ეთამაშა, ფეხბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული, თავის მშობლიურ ბაქოს „ნეფთჩიშიც" აღარ გამოდიოდა. ბანიშევსკი ძალიან სახიფათო თავდამსხმელი იყო, სწრაფი, თავით კარგად მოთამაშე.

ფინალურ ეტაპამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ, რომელთაგან, რა თქმა უნდა, აღსანიშნავი იყო ჩვენს მომავალ მეტოქესთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან შეხვედრა მიუნხენში. მატჩი „ოლიმპიაშტადიონის" გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაამთხვიეს. მოკლედ, საგანგებოდ ოლიმპიადისთვის აგებულ არენაზე პირველებმა ჩვენ ვითამაშეთ. მიუნხენში ძალიან თბილად მიგვიღეს. ფეხბურთელებს აეროპორტში ავტობუსის მაგივრად ახლათახალი BMW-ები დაგვახვედრეს. ორი დღის მანძილზე ეს მანქანები გვემსახურებოდა.

მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის გახსნის ცერემონია ბრწყინვალე იყო. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ხეებიც კი დავრგეთ, მე, მაგალითად, ერთი კი არა, რამდენიმე ხე დავრგე. არაჩვეულებრივი გახლდათ მატჩისშემდგომი ბანკეტიც. გუნდების კაპიტნებმა, მე და ფრანც ბეკენბაუერმა ტორტი ერთად გავჭერით, რომელსაც შამპანური დავაყოლეთ. თვით მატჩი კი გერმანელებმა 4:1 მოგვიგეს. ეს უმეტესწილად იმის ბრალი იყო, რომ ჩვენ ექსპერიმენტული შემადგენლობით და ტაქტიკით ვითამაშეთ, ნაკრებში ბევრმა გამოუცდელმა ფეხბურთელმა ითამაშა, მწვრთნელიც სხვადასხვა ვარიანტებს ამუშავებდა.

საბჭოთა ნაკრების ქართველი კაპიტანი და ადამიანი-გოლი გერდ მიულერი მიუნხენურ ბანკეტზე

ფინალური ეტაპის წინ შეკრება იქვე, ბელგიასთან ახლოს, გერმანიაში გავიარეთ. ფინალურ ეტაპზე სულ ოთხი გუნდი მონაწილეობდა — საბჭოთა კავშირი, ბელგია, უნგრეთი და გფრ.

ჩვენი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიდიოდა. ძველებიდან მხოლოდ ოთხი კაცი შემოვრჩით — მე, ძოძუაშვილი, რუდაკოვი და ვლადიმირ კაპლიჩნი.

ფინალური ეტაპის ორივე ნახევარფინალი ერთ დღეს გაიმართა. გერმანელებმა მასპინძლებს 2:1 მოუგეს, ჩვენ კი უნგრეთს 1:0.

გადაუჭარბებლად ვამბობ, უნგრეთი მაშინ საკმაოდ კარგი გუნდი იყო. თუმც ისიცაა, რომ უნგრელებს ტრადიციულად უჭირდათ ჩვენთან თამაში. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, საბჭოთა ნაკრებმა მოახერხა და მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. თუმც, როცა 1:0 ვიგებდით და შეხვედრის დასრულებას სამი წუთი აკლდა, ჩვენს კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. ჩვენს გამარჯვებას წყალი შეუდგა, დამატებით დროში თუ პენალტების სერიაში ვინ იცის, რა მოხდება. მაგრამ რუდაკოვმა გვიხსნა — 11-მეტრიანი მოიგერია.

სანამ ფინალზე ვიტყოდე, ერთიც უნდა ვთქვა. საბჭოთა ნაკრებში ძალიან კარგი ურთიერთობები იყო, არანაირი „დედოვშინა". თითქმის ათი წელი ვითამაშე ნაკრებში და არ მახსოვს, რომ ერთმანეთისთვის ზედმეტი, ხმამაღალი სიტყვა გვეთქვას — მსგავსი ერთხელაც არ მომხდარა. არ ყოფილა არანაირი ეთნიკური შუღლი, ეროვნების მიხედვით ერთმანეთს არავინ ანსხვავებდა. რუსული შოვინიზმიც არ ყოფილა. პირიქით, ქართველებს თითქოს ყველაზე მაღლა გვაყენებდნენ, ყველას ჩვენთან უნდოდა მეგობრობა. მწვრთნელების მხრიდანაც ქართველებს სითბოსა და სიყვარულის გარდა არაფერი გვიგრძვნია. გულშემატკივრებიც განსაკუთრებულად ეფერებოდნენ ქართველ ნაკრებელებს.

ახლა, რაც შეეხება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. ერთი კაცი კგბ-დან ყოველთვის დაჰყვებოდა ნაკრებს. თუმც კაგებეშნიკს თვითმფრინავში თუ ვხედავდით წასვლა-წამოსვლისას. როცა უკვე ჩავიდოდით უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში, მას ველარ ვხედავდით, თვალთვალიც არ შეგვინიშნავს. ისე, კაგებეშნიკი ადვილად ამოსაცნობი გახლდათ — ის, ვინც ახალი კაცი იყო გუნდში, რომელსაც მასაჟისტად თუ ექიმად აფორმებდნენ.

1972 წლის 18 ივნისი. ბრიუსელი. ევროპის ჩემპიონატის ფინალი. 65 000 მაყურებელი	
გფრ 3:0 სსრკ	
1:0 მიულერი (27), 2:0 ვიმერი (52), 3:0 მიულერი (58)	
გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, უ. ჰიონესი, ნეცერი, ვიმერი, ჰაინკესი, გ. მიულერი, ე. კრემერსი	სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი (დოლმატოვი), ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი), ონიშჩენკო
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი	მწვრთნელი: ალექსანდრ პონომარიოვი

ფინალის წინ პრესაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა. წერდნენ ძირითადად გერმანელი ფეხბურთელების ჰონორარებზე. ჩემპიონობისთვის მათ ათასებს და „მერსედესებს" ჰპირდებოდნენ. ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ისიც კი მითხრა, მოდი, ხელს ნუ შევუშლით გერმანელებს ასეთი დიდი პრემიების აღებაში, ცოდონი იქნებიანო. საბჭოთა ბანაკში კი ამ მხრივ სულ სხვა სიტუაცია იყო. ჩვენ მაშინ პირობებსა და პრემიებზე არც კი ვლაპარაკობდით. მოგებულ თამაშზე პრემია საშუალოდ 200 მანეთი გვქონდა.

ახლა იმას მოგახსენებთ, თუ რატომ წავაგეთ ფინალი. ამის სამი ძირითადი მიზეზი იყო. პირველი: გერმანელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ, იმ დროისთვის მსოფლიოში საუკეთესო. მათი თერთმეტი ფეხბურთელიდან თითქმის ყველა ვარსკვლავი იყო; მეორე: საბჭოთა ნაკრებში თაობათა ცვლა მიდიოდა, რამაც ერთობ უარყოფითად იმოქმედა გუნდზე. მესამე: ნაკრებში სულ წინა მცველით ვთამაშობდით, ჩემს უკან კი ალბერტ შესტერნიოვი იყო. მაშინ შესტერნიოვს უკვე დანებებული ჰქონდა თამაშისთვის თავი და მის ადგილას კაპლიჩნი თამაშობდა. მაგრამ თამაშის წინ პონომარიოვმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ მე და კაპლიჩნი განივად განვლაგებულიყავით დაცვის ცენტრში. თუ გერდ მიულერი მარჯვნივ გადაინაცვლებდა, ის მე უნდა ამეყვანა; თუ მარცხნივ, კაპლიჩნის. მე პონომარიოვს საწინააღმდეგოს ვუმტკიცებდი, ტრადიციული განლაგებით სჯობს ვითამაშოთ-მეთქი, მაგრამ მწვრთნელს აზრი არ შეუცვლია. პონომარიოვის ამ გადაწყვეტილებამ დაცვაში ერთობ აგვრია.

სხვათა შორის, პერსონალურად მეურვეობისას ყველა ფორვარდის წინააღმდეგ წარმატებით მითამაშია. ამ ფინალიდან ერთი წლის შემდეგ მოსკოვში ლევ იაშინის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართა — საბჭოთა დინამოელების ნაკრები მსოფლიოს ნაკრების წინააღმდეგ. მატჩის წინ მიულერმა იაშინს უთხრა, ბოდიში, მაგრამ გოლი უნდა გაგიტანო, რადგან თქვენთვის გოლი ჯერ არ გამიტანიაო. იაშინი ჩემთან მოვიდა და მთხოვა, „მურზიკ", მიულერს ჩემთვის გოლს ნუ გაატანინებო. იმ შეხვედრაში მიულერს პერსონალურად ვეთამაშე და გოლი არ გაუტანია. საბენეფისო მატჩებში მაშინ ნაღდი ბრძოლა იყო.

ფინალს დავუბრუნდეთ. პირველი გოლის გაშვებამდე გერმანელებს რაც შეგვეძლო, ვუძალიანდებოდით — მერე კი პირწმინდად გვაჯობეს, ერთი გოლი მეკარის შეცდომის გამოც გავუშვით. თუმც ამას არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე ორი საგოლე მომენტი მქონდა — ჯერ შორეულ დარტყმით ძელს გავარტყი ბურთი, მეორედაც შორიდან ვცადე ბედი, მაგრამ ზეპ მაიერმა სასწაული ბურთი მოიგერია, შეიძლებოდა დამატებაზე გატანაც, მაგრამ ჩაგვეძინა...

ფინალის შემდეგ ფანტასტიკური ბანკეტი გაიმართა, რომელზეც ოთხივე გუნდი მიიწვიეს. 8-9 კაციანი მაგიდები იყო გაშლილი, დიდებული სუფრა, რა გინდა, რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი, საბჭოთა ფეხბურთელების მაგიდებზე არანაირი ალკოჰოლური სასმელი არ იდგა — ჩვენ თითქოს სულ ჩაკეტილები ვიყავით, რაღაც შიში გვქონდა...

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.30	112	ჰერტა-მიუნხენი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
18.30	113	ჰანზა-კიოლნი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.30	114	ლევერკუზენი-ვერდერი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
18.30	115	ბაიერნი-შტუტგარტი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.30	116	ჰამბურგი-ფრაიბურგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.30	117	ბოხუმი-აინტრახტი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
18.30	118	კაიზერსლაუტერნი-შალკე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	119	მიონხენგლადბახი-დორტმუნდი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.30	120	ვოლფსბურგი-ჰანოვერი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8

იტალია. სერია A. XIII ტური

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	136	უდინეზე-ლეჩე	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.30	137	პერუჯა-სამპდორია	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	138	ანკონა-ლაციო	5,0	3,2	1,7	1,95	1,26	1,11
18.00	139	ბოლონია-ინტერი	4,2	3,1	1,85	1,78	1,28	1,15
18.00	140	ბრეშა-ემპოლი	1,8	2,9	4,8	1,11	1,3	1,8
18.00	141	იუვენტუსი-პარმა	1,65	3,1	6,0	1,07	1,29	2,04
18.00	142	რეჯინა-კიევო	2,45	2,9	2,9	1,32	1,32	1,45
23.30	143	რომა-მოდენა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	144	რომა-მოდენა 0:1	1,6	3,2	3,6			

ესპანეთი. I დივიზიონი. XVI ტური

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	187	ესპანიოლი-ბარსელონა	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
00.30	188	სელტა-ატლეტიკო	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
00.30	189	ვილიარეალი-სოსიედადი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	190	ვალიადოლიდი-მურსია	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03
20.00	191	მალაგა-მალიორკა	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
20.00	192	რასინგი-ოსასუნა	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
20.00	193	სარაგოსა-ალბასეტე	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
20.00	194	ბეტისი-ვალენსია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
22.00	195	რეალი-დეპორტივო	1,65	3,4	5,6	1,11	1,27	2,11
24.00	196	ბილბაო-სევილა	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.15	214	პსჟ-ბორდო	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	215	ოსერი-ლანსი	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.00	216	ბასტია-ლიონი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.00	217	გენგამი-ნანტი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
23.00	218	ლილი-ლე მანი	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.00	219	მეცი-რენი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
23.00	220	მონპელიე-მარსელი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.00	221	სოშო-აიაჩო	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.00	222	ტულუზი-ნიცა	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	223	მონაკო-სტრასბური	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	224	მონაკო-სტრასბური 0:1	2,0	3,0	2,7			

ჰოლანდია. I დივიზიონი. XV ტური

12 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	252	როდა-ბრედა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	253	დენ ჰააგი-ტილბურგი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
22.30	254	როზენდალი-ჰერენვენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.30	255	პსვ-ვალვაიკი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	256	პსვ-ვალვაიკი 0:1	1,55	3,4	3,6			
22.30	257	ტვენტე-ფეიენოორდი	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.30	258	ვოლენდამი-ალკმაარი	3,3	3,4	2.0	1,67	1,24	1,25
17.30	259	ნაიმეგენი-ვიტესი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
17.30	260	აიაქსი-უტრეხტი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	261	აიაქსი-უტრეხტი 0:1	1,75	3,2	3,0			
17.30	262	ზვოლე-გრონინგენი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42

ბელგია
I დივიზიონი. XVI ტური

12 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	276	ჰეუსდენი-ლიერსი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.30	277	შარლერუა-სტანდარდი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	278	ბეერსხოტი-მუსკრონი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.00	279	ბრიუგე-მონსი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	280	ბრიუგე-მონსი 0:1	1,55	3,4	3,6			
23.00	281	სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
23.00	282	ბევერენი-ლუვიე	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	283	ანდერლეხტი-სერკლი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	284	ანდერლეხტი-სერკლი 0:1	1,4	3,8	4,2			
18.00	285	ლოკერენი-გენტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.00	286	ვესტერლო-გენკი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38

თურქეთი
სუპერლიგა. XVI ტური

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.30	314	გენჩლერბირლიგი-ისთანბული	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
15.30	315	გაზიანთეფი-ელაზიგი	1,4	4,0	7,0	1,03	1,16	2,54
	316	გაზიანთეფი-ელაზიგი 0:1	1,95	3,2	2,5			
18.30	317	სებათი-ბეშიქთაში	7,0	4,0	1,4	2,54	1,16	1,03
21.00	318	ფენერბაჩე-დენიზლი	1,6	3,6	4,8	1,1	1,2	2,05

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.30	318	ადანა-ანკარაგიუჯიუ	2,45	3,3	2,45	1,4	1,22	1,4
15.30	319	ბურსა-დიარბაქირი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
15.30	320	რიზე-სამსუნი	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
15.30	321	კონია-მალათია	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
21.00	322	გალათასარაი-ტრაბზონი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05

უეფას თასი

11 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	421	მაკაბი-ვალენსია	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05

საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიო)

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14.15	422	მილანი-ბოკა ხუნიორსი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73

საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიო). თასის აღება

14 დეკემბერი

			1	X
14.15	6001	მილანი-ბოკა ხუნიორსი	1,5	2,2

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

13.12	16.00	560	.... ინგლისი პლ (XVI) 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.12	18.30	5602	.... გერმანია ბლ (XVI) 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.12	22.30	5603	.... ესპანეთი Iდ (XVI) 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.12	20.15	5604	.... საფრანგეთი Iდ (XVIII) 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
12.12	01.00	5605	.... პორტუგალია სლ (XIV) 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
12.12	23.00	5606	.... ჰოლანდია Iდ (XV) 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
12.12	23.30	5607	.... ბელგია Iდ (XVI) 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



როგორ გგონიათ, დღეს ევროპელი სპეციალისტებიდან ყველაზე კარგად ვინ იცნობს ქართულ კალათბურთს? შეიძლება ითქვას, პასუხი ცალსახაა: ლიუბლიანის „სლოვანის“ პრეზიდენტი იანის რაიგელი. თუ იმაზე არაფერს ვიტყვით, რომ ამ კაცის გუნდში დაფრთიანდნენ ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე, კოტე ტულუში და ირაკლი კეიდია, რაიგელი ორჯერ ყოფილა საქართველოში, აქაურ მატჩებს დასწრებია და საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვისაც უმასპინძლია „სლოვანის“ ბაზაზე. გუშინ რაიგელს მორიგი ქართველი მედესანტის, ზვიად ბაბიაშვილის ამბების გასაგებად დავუკავშირდით, მაგრამ საუბარი ისე წაგვივიდა, ქართული კალათბურთის საჭირბოროტო თემებიც მოიცვა...

სმა, დომინო და ცოოლტა საქმეც

სლოვანის პრეზიდენტმა ქართული კალათბურთი გაარჩია

— გამარჯობათ ბატონო იანის, საქართველოდან გაწუხებთ, ზვიად ბაბიაშვილის ამბავი გვაინტერესებს...

— კეთილი, მაგრამ ჯერ წესიერად არც მინახავს ბაბიაშვილი, ის გუშინ ჩამოვიდა.

— უკვე ივარჯიშა?

— დიახ, დილის ვარჯიშზე ვნახე, ერთიორი სიტყვა გავცვალეთ, საფუძვლიანად ჯერ არ გვისაუბრია. ახლა ვერაფერს გეტყვით, ორ დღეში ალბათ შეგვექმნება თქვენიანზე წარმოდგენა და თუ საჭიროდ ჩავთვლით, ასე ერთ კვირაში კონტრაქტსაც გავუფორმებთ.

— იმედია, მოგაწონებთ თავს, ბაბიაშვილი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა...

— ეგ არაფერს ნიშნავს. საქართველოს ჩემპიონატი, ნუ მიწყენთ და, ძალიან, ძალიან დაბალი დონისაა. შესაძლოა, არაფერი გამოუვიდეს, საქართველოში რაღაც სხვანაირ კალათბურთს თამაშობენ.

— ასე დარწმუნებული რატომ ხართ, რომ საქართველოში დაბალი დონეა?

— ჯერ ერთი, საქართველოში ორჯერ ვარ ნამყოფი და ჩემი თვალით მინახავს თქვენი ჩემპიონატის მატჩები. მეორეც — „სლოვანში“ არაერთ ქართველს უთამაშია, სადღეისოდ თითქმის ყველა ძლიერ ქართველ კალათბურთელს სლოვენიური, უფრო ზუსტად კი, „სლოვანის“ სკოლა აქვს გავლილი. თქვენს ნაკრებსაც კარგად ვიცნობ, ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის საქართველოს ნაკრები ჩვენს ბაზაზე ემზადებოდა. მაშინ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ თქვენს ეროვნულ გუნდთან, რომელმაც ევროპული მასშტაბით საშუალოზე დაბალი დონის „სლოვანს“ ვერაფერში ავჯობა.

— მაშინ სხვა დრო იყო, ნაკრების არაერთი წევრი სრულიად ახალგაზრდა გახლდათ...

— მოიცათ, მე იმას კი არ ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრებია სუსტი, პირიქით, თქვენს ნაკრებს უდიდესი პოტენცია გააჩნია, უბრალოდ ჩემპიონატი არ გივარგათ არაფრად.

— თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდნენ ვლადიმერ სტეფანია, ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა...

— ...ზაზა ფაჩულიაც, მანუჩარ მარკოიშვილიც, დავით უგრეხელიძეც... კიდევ გავაგრძელო? ესენი ტალანტები არიან, რომლებსაც ნიჭი ბუნებისგან დაჰყვათ და განა საქართველოს ჩემპიონატში თამაშით მიაღწიეს წარმატებას?! დარწმუნებული ვარ, ახლაც იქნებიან თქვენთან ნიჭიერი ახალგაზრდები, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ჩემპიონატი რამეს წარმოადგენს.

— მაინც რა სხვაობაა ქართულ და ვთქვათ, სლოვენიურ საკალათბურთო ლიგებს შორის?

— პირველ რიგში დისციპლინა, თამაშის ორგანიზება და, რა თქმა უნდა, ტაქტიკა. ჩვენთან კალათბურთს სულ სხვა თვალით უყურებენ, პროფესიონალიზმია მაღალ დონეზე. ჩემპიონატის გაძლიერების რა მოგახსენოთ და საქართველოს ნაკრებს კი ნამდვილად შეუძლია წარმატების მიღწევა. საამისოდ კალათბურთელები არ გაკლიათ, მწვრთნელი გჭირდებათ.

— ჩვენს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს...

— დრაჟენ ბრაიკოვიჩი კარგი სპეციალისტია, მიზანმიმართული და პრინციპული, მაგრამ არ ვიცი, მოუტანს თუ არა ის თქვენ ნაკრებს წარმატებას. მაგალითად ადრიატიკის ლიგაში მან ვერაფერი მოახერხა, როცა ხორვატიულ „ტრიგლავს“ წვრთნიდა. საქართველოს ჩემპიონატში კი, ბრაიკოვიჩს კონკურენტი არ ეყოლება.

— დარწმუნებული ხართ?

— დიახ, სავსებით. ერთი ხეირიანი სპეციალისტი იყო საქართველოს ჩემპიონატში, ბათუმში მომუშავე პაველ გოოგე, და ისიც წასულა. მე კარგად ვიცნობ ვაჟა კვარაცხელიას, ის კარგი მწვრთნელია, მაგრამ ვერა-სდროს გახდება დიდი მწვრთნელი. მას აქვს კარგი თვალები და შეუძლია ადრეულ ასაკშივე შეამჩნიოს ბავშვის პერსპექტიულობა, მაგრამ ის ვერ გაუძღვება დიდ გუნდებს. ვაჟა ჩემი მეგობარია და ასე თამამად იმიტომ ვლაპარაკობ მასზე. კვარაცხელიას უყვარს კალათბურთი, მაგრამ სმაც უყვარს და ხშირად თამაშობს დომინოს. ვიცი, ასევეა ბევრი სხვა ქართველი მწვრთნელიც, მათი უმეტესობა ფულის გულისთვისაა კალათბურთში.

— ფულიც აუცილებელია, მწვრთნელობა ხომ სამუშაოა...

— ფული იმაში უნდა აიღო, რაშიც პროფესიონალი ხარ, საქართველოს ჩემპიონატში კი პროფესიონალები არ არიან.

— მანდაურ ქართველებს დავუბრუნდეთ. დავით უგრეხელიძეც სლოვენიაშია, „კრკაში“ ვარჯიშობს, მოსალოდნელი ხომ არაა, „სლოვანს“ დაუბრუნდეს?

— „უგრეს“ ორი კვირაა, სიცხე აქვს, „კრკაში“ რამდენიმე ვარჯიში გაუცდა და მისი იქ დარჩენის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. წლეულს გამორიცხულია მისი „სლოვანში“ მობრუნება, მომავალი სეზონიდან კი ვნახოთ...

უგრეხელიძე საკმაოდ კარგი მოთამაშეა, მაგრამ ბევრი გაუცდა და ახლა ფორმიდანაა ამოვარდნილი. სხვათა შორის, ის ვაჟას და ჩემი აღმოჩენილია. ვიცი, საქართველოში არავის ეგონა, რომ უგრეხელიძისგან კარგი კალათბურთელი შეიძლებოდა დამდგარიყო და ასე იყო აქაც. მხოლოდ კვარაცხელიასა და მე გვჯეროდა მისი. „სლოვანში“ დავითი დაიხვეწა და მალე მენეჯერების რიგი დაუდგა. ეს კი თავში აუვარდა და სლოვენიიდან საბერძნეთს მიაშურა. ამპარტავნობას არავისთვის მოუტანია ხეირი და უშედეგო მოგზაურობის შემდეგ ის ისევ სლოვენიაშია. მე მისი ისევე მჯერა, როგორც საქართველოს ნაკრების სხვა წევრებისა.

ირაკლი პერტაია

ცინცაძეს ჩინი მოემატა

პატარა ქართველი რუსული არმიის შტაბში დაიბარეს

16 წლის გიორგი ცინცაძე მოსკოვის ცსკა-ში რომ მიჰყავდათ, არმიელებმა უთხრეს, ფიზიკურად სუსტი ხარ, სათადარიგო გუნდში ითამაშებ და იანვრიდან ეგებ ძირითად შემადგენლობაშიც ჩაგსვათო. ცინცაძემ სიტყვა შეასრულა და ტანზე ხორცი შეესხა. არც რუსები ჩანან სიტყვის გამტეხნი, გასულ უქმეებზე ქართველი გამთამაშებელი ცსკა-ს ძირითად გუნდთან სავარჯიშოდ მიიწვიეს.

ცინცაძეს აქამდეც უვარჯიშია ცსკა-ს ვარსკვლავებთან, თუმც ეს სეზონის დაწყებამდე, მის რეალურ შესაძლებლობებში გასარკვევად ხდებოდა. რა გასაკვირია, რომ საქართველოში ვაიჩემპიონატში მოთამაშე 16 წლის ახალგაზრდა ვერ აღმოჩნდა მზად მარკუს ბრაუნის, ვეიარ ჰოლდენის, მირსად თურქჯანისა და სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ სათამაშოდ. მოსკოვში „ჟორიკად“ მონათლული ცინცაძე ცსკა-ს სათადარიგო გუნდში გადაიყვანეს, სადაც დღემდე თამაშობს და პატარა არმიელებს რუსეთის დუბლიორთა ჩემპიონატში ეხმარება. გუშინ ჩვენი ზარი ცინცაძეს ტულაში დაეწია, სადაც იგი მორიგი მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდა...

— დღეს, ხვალ და ზეგ თამაშები გველის. ყველაზე ძლიერ მეტოქეს დღეს ვხვდებით. ცსკა-ს დუბლიორთა გუნდში სისტემატურად ვთამაშობ, შაბათს კი ძირითად გუნდშიც მიმიწვიეს სავარჯიშოდ. კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, ძალიან მონდომებული ხარ, თამაშის ხარისხიც გაუმჯობესე და ფიზიკურადაც მომძლავრებულხარო. სათადარიგო გუნდთან მხოლოდ მაშინ ვვარჯიშობ, როცა ცსკა მოსკოვში არ იმყოფება, ისე კი სულ დიდ გუნდთან ერთად ვარ. ჯერ მხოლოდ ვარჯიშზეც თანახმა ვარ, ცსკა-ს ძირითადში თამაში ხუმრობა ხომ არაა, გუნდი ეროლიგის მოსაგებად იბრძვის. იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ახალგაზრდებიდან გამომარჩიეს. როგორც ჩანს, პროგრესს განვიცდი და ეს ყველაზე მთავარია დღეს ჩემთვის.

გიორგი ცინცაძე უკვე დიდ ცსკა-ში ვარჯიშობს

ირაკლი პერტაია

დევიდ რობინსონი და ტიმ დანკანი

წყვილი კოუკი წყვილად აამენს

ორი დიდი სანანტონიელის, „ადმირალ“ დევიდ რობინსონისა და ტიმ ტანკანის ტიტულთა კრიალანს კიდევ ერთი ჯილდო შეემატა. ამერიკის უპოპულარულესი გამოცემა „სპორტს ილუსტრეიტიდის“ გამოკითხვის შედეგად, ეს ორი გოლიათი წლის სპორტსმენად დასახელდა.

„ძალიან გამიხარდა, რომ რობინსონთან ზიარად დავიმსახურე ეს ჯილდო — ამბობს ტიმ დანკანი — ეს სულ სხვა შინაარსის აღიარებაა, მას მხოლოდ სპორტული მიღწევებისთვის არავინ მოგცემს.“

სწორედაც რომ ასეა, „სპორტს ილუსტრეიტიდის“ რედაქტორმა ტერი მაკდონალდმა თქვა — „მათ ეს ჯილდო მხოლოდ იმიტომ კი არ დაიმსახურეს, რომ ბურთს კარგად ესვრიან. ისინი სამაგალითო ადამიანები არიან, საზოგადოებაში საკმრისი ადგილი უჭირავთ და თან ყველასთვის გასაგებ ენაზე საუბრობენ.“

სუპერვარსკვლავობას ეს ორი კეთილი კაცი მეცენეტობასაც კარგად უთავსებს. რობინსონის ქველმოქმედების ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. ადმირალს ბარე 10 მილიონი დაუხარჯავს მზრუნველობას მოკლებულ ხალხზე და სან ანტონიოში არაერთი სასწავლებელიც დაუარსებია. დანკანი კი ჯერ ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. მისი ქველმოქმედების არეალი რამდენიმე დონორი ფონდის დაფუძნებასა და „სან ანტონიოს“ ყოველ მატჩზე 40 ბილეთის რომელიღაც საბავშვო პროგრამისთვის ჩუქებას მოიცავს.

„სპორტს ილუსტრეიტიდს“ აქამდე თანაგუნდელთა ოდენ ერთი წყვილი დაუსახელებია წლის სპორტსმენად — ბეიზბოლისტები „არიზონა დიამონდბექზიდან“ — რენდი ჯონსონი და კურტ შილინგი.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ლამაზქალაქებს პროვინცია აჭმევს

სოლტლეიკელი დანგლა ბიჭები ნიუ იორკსა და ლოს ანჯელესში

9 დეკემბერი

ჰიუსტონი 93:91 პორტლენდი

ჰიუსტონი: ფრენსისი (15), მობლი (24), ჯეკსონი (12), კატო (6), მინგი (16); ტეილორი (10), პიატკოვსკი (6), ნორისი (4)

პორტლენდი: სტუდემაიერი (19), მაკინისი (12), ვოლესი (12), რენდოლფი (31 ქულა, 11 მოხსნა), დევისი (3); პერსონი (8), პატერსონი (6), სტეფანია (9 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი)

ატლანტა 112:98 დენვერი

ატლანტა: ტერი (20 ქულა, 11 პასი), ჰანსენი (2), აბდურ-რაჰიმი (22), დიავი (7), რეთლიფი (12); ვონი (23), მუჰამედი (12 ქულა, 10 მოხსნა), გლოვერი (7), ნეილონი (6), დიკაუ (1)

დენვერი: მილერი (17), ლენარდი (25), ენტონი (13 ქულა, 10 მოხსნა), ნენე (9), კემბი (13); ბოიკინსი (17), ბერი (4), ანდერსენი, ცძიტიშვილი (6 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა)

მინესოტა 95:98 გოლდენ სტეიტი

მინესოტა: კასელი (17 ქულა, 12 პასი), სპრიუელი (27), გარნეტი (33 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონი;

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (30)

კლივლენდი 93:100 ტორონტო

კლივლენდი: ჯეიმსი (18)

ტორონტო: კარტერი (22), როუზი (20), მარშალი (20)

დეტროიტი 76:78 ფილადელფია

დეტროიტი: ბილაფსი (29)

ფილადელფია: მაკკი (21), სნოუ (17)

ლეიკერსი 98:90 ნიუ იორკი

ლეიკერსი: ბრაიანტი (21), მელოუნი (20), ონილი (18 ქულა, 15 მოხსნა), პეიტონი (17)

ნიუ იორკი: ანდერსონი (26), ეისლი (26)

ნიუჯერსი 101:88 სიეტლი

ნიუჯერსი: ჯეფერსონი (31), მარტინი (25)

სიეტლი: მიურეი (27)

ინდიანა 93:79 ვაშინგტონი

ინდიანა: არტესტი (16), ონილი (15)

ვაშინგტონი: ბრაუნი (17), პიუზი (16)

მაიამი 92:72 ფინიქსი

მაიამი: გრანტი (18 ქულა, 10 მოხსნა), ვეიდი (18), ოდომი (16 ქულა, 17 მოხსნა)

ფინიქსი: მარიონი (27 ქულა, 10 მოხსნა)

საკრამენტო 105:95 კლიპერსი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (26)

კლიპერსი: მეჯიტი (27)

„ყელში ამოვიდა ამდენი წაგება. გადაწყვეტილია, ხვალიდან მოედანზე ისე გავალთ, როგორც ომში“ — ეს ლამის „ისტორიული“ გადაწყვეტილება არა რომელიმე ჩაგრული გუნდის ლიდერმა, არამედ სოლიდური „პორტლენდის“ წარმომადგენელმა დეიმონ სტუდემაიერმა მიიღო. რამდენადაც საოცარი უნდა იყოს, „პორტლენდი“ მართლაც ყველა თამაშს აგებს, ოღონდ მეტოქის მოედნებზე. ვოვა სტეფანიას გუნდი და ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი“ დღემდე რჩებიან ორადორ კლუბად, რომლებმაც ყველა გასვლა ჩააფლავეს. ჰიუსტონში მარცხი „ბლეიზერსისთვის“ ამ სეზონში მეშვიდე წამგებიანი გასვლა იყო.

არადა, „ჰიუსტონი“ არ ჩანდა დაუმარცხებელი მასპინძელი. მართალია, გრძელმა იაომ და მისიანებმა ოთხი მეოთხედიდან პირველი სამი მეტოქეს უსიხარულოდ გაალევინეს, თუმც „პორტლენდმა“ ბოლო 12-წუთეულის ერთ მონაკვეთში გაქცევით დეფიციტი ერთბაშად აღმოფხვრა — 3 წუთი 14:0 მოუგო მასპინძლებს და დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე 89:85-ც კი დაწინაურდა.

მაგრამ გაუჭირდათ პორტლენდელებს აღებული ბასტიონის შენარჩუნება. იაო მინგმა ზედიზედ ორი დიდი ლოდი ისროლა მათ ბოსტანში და 91:91 გაათანაბრა, მაშინ, როცა რაშიდ ვოლესის და ზაკ რენდოლფის გუნდი ძირითადად ბურთის დაკარგვით იყო დაკავებული. გადამწყვეტი ჰიუსტონელი სტივ ფრენსისის ორქულიანი აღმოჩნდა სირენამდე 20 წამით ადრე.

გასვლა წააგო მეორე ქართველის ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმაც“. „ნაგიტსი“ ახლა ისე ყოჩაღად ბურთაობს ბოლო 10 წელი რომ არ უბურთავია, თუმც „ატლანტასთან“ შეხვედრა კი ჩაუვარდა. ჯეფ ბზდელიკის დანგლა ბიჭები ისე გაერთვნენ შეტევაში, რომ მწვრთნელის ნაჩიჩინები დაცვა მიავიწყდათ და ამ უხეირო „ატლანტასაც“ 112 ქულა ჩააგდებინეს. ჯორჯიელებს ამდენი ამ სეზონში არ მოუქაფავთ. მთლად სამაღარიჩოდ აქვს საქმე მათ სათადარიგო გამთამაშებელ ჯაკ ვონს, ვინაც კარიერაში უმეტესი — 23 ქულა მოიხვეჭა და ორი წლის წინათ დამყარებული პირადი რეკორდი სამი ქულით გაუმჯობესა.

„პორტლენდისა“ არ იყოს, გასვლაზე გაუხარელმა იმ საწყალმა „კლივლენდმა“ შინაც ვერ მოუგო დიდი ტბისიქითა კანადელ მეზობელს „ტორონტო რეპტორზს“. რაც „ჩიკაგოსთან“ გაცვლა მოაწყო, „რეპტორზი“ მართლა „დინოზავრად“ იქცა, იგებს და იგებს ამ ახალი კბილბასრი ბიჭების მეცადინეობით. ექსჩიკაგოელებმა ჯალენ როუზმა და დონიელ მარშალმა აგერ ახლაც 20-20 ქულა გაიღეს, ძველმა „დინოზავრმა“ ვინს კარტერმა 22 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი დაურთო და „ტორონტომ“ ლებრონ ჯეიმსი და მისი „ბანდა“ მომავალი სტუმრის გაძარცვის იმედად დატოვა.

ერთობ საინტერესო გამოდგა „ნიუ იორკის“ ლოს ანჯელესში სტუმრობა. მართალია, აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების ორი მოქიშპე. მეგაპოლისის გუნდები დღეს სხვადასხვა წონით კატეგორიებს განეკუთვნებიან, თუმც „ნიქსმა“ და „ლეიკერსმა“ მაინც ბარაქიანი ბურთაობა გააჩაღეს, რაშიც პროვინციული სოლტლეიკსიტელი ჯეელების ხელი ურევია. „იუტა ჯაზის“ ოქროს ხანის, 1997-98 წლების გუნდი დღეს მთელს ნბა-შია მიმოფანტული. ამ გუნდებსაც ორ-ორი იუტელი ჰყავთ — „ნიქსს“ შენდონ ანდერსონი და ჰოვარდ ეისლი, „ლეიკერსს“ კარლ მელოუნი და ბრაიონ რასელი. მართალია, თავის დროზე ეს ორი უკანასკნელი იყო „იუტას“ ლიდერი, ხოლო ანდერსონი და ეისლი მათ თადარიგში ისხდნენ, მაგრამ ეს თამაში სწორედ ნიუიორკელი „იუტელების“ ბენეფისი გამოდგა. ეისლიმაც და ანდერსონმაც 26-26 ქულა მოუტანეს „ნიუ იორკს“, ჯამში 20-ით მეტი, ვიდერ რასელ-მელოუნის დუეტმა „ლეიკერსს“. გამარჯვება კი მაინც „ლეიკერსს“ დარჩა, რაკი მას კარლ მელოუნის გარდა სხვა მექულეებიც ბლომად ჰყავს და მათ სახელებს დღეს ნულარ ჩამოვთვლით.



„დენვერის“ რისხვა ძაძ ვონი

REUTERS -ატლანტიდან

„მათ მშვენივრად ითამაშეს — თქვა მელოუნმა ყოფილ „უმცროს“ თანაგუნდელებზე — მაგრამ მე ანგარიში უფრო მომწონს — მათ წააგეს.“

„ლეიკერსმა“ კი ზედიზედ მეათედ იმარჯვა.

კოტე ყორღანია

აღმოსავლეთი				NBA	დასავლეთი			
ატლანტიკა					შუა-დასავლეთი			
ფილადელფია	12	10	54,5	NBA	დალასი	13	7	65,0
ნიუ ჯერსი	10	11	47,6	NBA	ჰიუსტონი	13	7	65,0
ბოსტონი	9	12	42,9	NBA	დენვერი	13	8	61,9
ვაშინგტონი	7	13	35,0	NBA	მემფისი	11	8	57,9
ნიუ იორკი	7	15	31,8	NBA	მინესოტა	12	9	57,1
მაიამი	6	15	28,6	NBA	იუტა	11	9	55,0
ორლანდო	2	19	9,5	NBA	სან ანტონიო	12	10	54,5
ცენტრალური					წყნარი ოკეანე			
ინდიანა	17	5	77,3	NBA	ლეიკერსი	18	3	85,7
ნიუ ორლეანი	15	7	68,2	NBA	საკრამენტო	14	5	73,7
დეტროიტი	14	8	63,6	NBA	გოლდენ სტეიტი	10	9	52,6
ტორონტო	13	8	61,9	NBA	პორტლენდი	10	9	52,6
მილუოკი	9	12	42,9	NBA	სიეტლი	9	9	50,0
ატლანტა	7	15	31,8	NBA	ფინიქსი	8	13	38,1
ჩიკაგო	5	15	25,0	NBA	კლიპერსი	6	11	35,3
კლივლენდი	5	16	23,8	NBA				

ოლიმპიზმი

სიკვდილით დასჯა სპორტში

დოპინგზე ჩავარდნილებს სამუდამოდ ჩააგდებენ

სულ უფრო მკაცრდება დოპინგზე კონტროლი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დოპინგმიღებულ სპორტსმენებს დისკვალიფიკაცია ემუქრებათ არა მხოლოდ შეჯიბრების დამთავრებისთანავე აღმოჩენილი დადებითი ანალიზისას, არამედ ასპარეზობის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე და რამდენიმე წლის მერე განმეორებით შემოწმებაში ჩავარდნის შემთხვევაშიც კი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე თვით ადრე გადაწყვიტა, გაამკაცროს ის ღონისძიებები, რომლებიც დოპინგის წინააღმდეგაა მიმართული. როგორც სოკ-ის წარმომადგენლები იუწყებიან, ათენის ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილე შესაძლოა შეამოწმონ აკრძალული პრეპარატებზე საანალიზოდ ნებისმიერ დროს დაწყებული 30 ივლისიდან, როცა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი გაიმართება. ამასთან, მნიშვნელობა არ ექნება სპორტსმენი იმ მომენტისთვის ათენში იქნება თუ არა ჩასული. ამასთან, დოპინგ-ტესტი ჩაუტარდებათ იმათაც, რომლებიც არ დაელოდებიან ოლიმპიური თამაშების დამთავრებას და შინ დაბრუნდებიან. წინა ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით ათენში აკრძალულ პრეპარატებზე კომპლექსური ანალიზი შეიძლება ჩაუტარდეთ ნებისმიერ დროს და არა მხოლოდ ასპარეზობის დამთავრებისთანავე, როგორც ეს ადრე იყო.

სოკ-ის სამედიცინო სამსახურის დირექტორის პატრიკ შამაშის თქმით, ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას 2000-მდე ტესტი ჩატარდება, რაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით 25 პროცენტით მეტია.

ამ დღეებში სოკ-მა ოფიციალურად დაადასტურა, რომ სოლტ ლეიკ სიტში 2002 წელს გამართული ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს განმეორებით ჩაუტარებენ სადოპინგო ანალიზს. ამ შემოწმების მიზანი იქნება აკრძალულ პრეპარატ ტეტრაჰიდროგესტრინონის აღმოჩენა, რომლის გამოვლენის მეთოდიც სულ რამდენიმე თვის წინათ შეიმუშავეს. ამგვარად, გამოდის, რომ ამ პრეპარატის მიმღები სპორტსმენი შესაძლოა თითქმის ორი წლის მერე დასაჯონ და ჩამოართვან ოლიმპიური მედალი.

შეგახსენებთ, რომ ტეტრაჰიდროგესტრინონის გამოვლენის მეთოდის აღმოჩენისთანავე მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის 400-მდე მონაწილეს ჩაუტარდა ანალიზი, რომელთაგან ორი დადებითი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციამ წამოაყენა წინადადება, რომ სამუდამო დისკვალიფიკაციით დაისაჯონ ის სპორტსმენები, რომლებსაც სტეროიდებზე დადებითი ანალიზი აღმოაჩნდებათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ათლეტი პირველად ჩავარდება აკრძალული ნივთიერების გამოყენებისთვის. ამასთან, ამერიკის მძლეოსნობის ფედერაცია გამოდის ინიციატივით, რომ სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯონ იმ სპორტსმენთა მწვრთნელები, რომელთა აღსაზრდელებსაც დოპინგის მიღებაში ამხელენ.

ამასთან დაკავშირებით თავისი ნეგატიური აზრი გამოთქვა მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) მეთაურმა რიჩარდ პაუნდმა. მან ამერიკელთა გადაწყვეტილებას მეტისმეტად მკაცრი და შოკისმომგვრელიც კი უწოდა. „ერთის მხრივ ამერიკის მძლეოსნობის ფედერაცია მხარს უჭერს სტეროიდების პირველივე გამოყენებაში შემჩნეულთა სამუდამო დისკვალიფიკაციას, იმავდროულად კი ოლიმპიურ მედალს არ ართმევს ჯერომ იანგს, ვინც სიდნეიში 4X400 მეტრზე გამარჯვებული ოთხეულის წევრია და ჯერ კიდევ 1999 წელს აკეხილეს ნანდროლონის გამოყენებაში“ — თქვა რიჩარდ პაუნდმა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია კი მიესალმა ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის ინიციატივას, რომელიც ითხოვს დოპინგმიღებულ სპორტსმენთა სამუდამო დისკვალიფიკაციას.

„ეს კარგი ნიშანია, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკელები მზად არიან დოპინგის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისთვის“ — განაცხადა ააფ-ის გენერალურმა მდივანმა იშტვან დიულაიმ.

რიჩარდ პაუნდი კი, როგორც ხედავთ ამერიკელთა გადაწყვეტილების წინააღმდეგია. იგი ფიქრობს, რომ ამერიკელები გარევნული ეფექტის მოხდენას ლამობენ.

„ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი კრეიგ მასბეკი ძალიან კარგი იურისტია და მან მშვენივრად იცის, რომ მსგავსი გადაწყვეტილება განუხორციელებელია“ — ამბობს პაუნდი.

ის, რომ სამუდამო დისკვალიფიკაციის ცხოვრებაში გატარება ძნელი იქნება, ამას დიულაიც ეთანხმება.

ავთანდილ ბუკიშელი

დასაწყისი იხილეთ
„სარბიელი“ №225, №230

შვიდი მწვერვალი

იალბუზი

დავუბრუნდეთ ქართულ სახელებთან დაკავშირებულ იალბუზის ისტორიას, რომელიც თავის მხრივ მეორე მსოფლიო ომს უკავშირდება.

1942 წელია. გერმანიის გაზეთები წერენ და ბერლინის რადიო გადმოსცემს: „დიადი გერმანიის დროშა ამაყად ფრიალებს კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე. გერმანული იარაღის სიმძლავრის სიმბოლო იალბუზზე აღმართეს რაინდთა მარგალიტებიანი რკინის ჯვრის კავალერის, გენერალ-ლეიტენანტ ჰუბერტ ლანცის პირველი სამთო-მსროლელი დივიზიის „ედელვაისის“ მამაცმა მებრძოლებმა. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გულადი მეომარი, კაპიტანი ჰანს გროოტი“...

იმავე ხანებში რაიხისა და გერმანელთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიის კინოეკრანებზე უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს: კავკასიონის ორთავა ბუმბერაზის ირგვლივ „იუნკერს-88“ დაფრინავს. მწვერვალის ფერდობებზე გერმანელი ოფიცერი ავტომატს იქნევს. გერმანელი ეგერები და მთამსვლელები „თერთმეტთა თავშესაფარს“ იკავებენ. მერე იალბუზის ორთავ წვერზე სვასტიკიან დროშებს აღმართავენ.

გერმანელებმა საგანგებოდ სამი ერთნაირი, 11-მეტრიანი დურალუმინის ანძა დაამზადეს. ერთი ათენში, აკროპოლისის თავზე დადგეს, მეორე — პარიზში ეიფელის კოშკზე, მესამე — კავკასიონზე, იალბუზის მწვერვალზე და მათზე სვასტიკიანი დროშები ააფრიალეს.

ყველა ჯარისკაცი, რომელიც იალბუზზე ავიდა, რკინის ჯვრით დაჯილდოვეს. თავად მწვერვალს ფაშისტებმა ფიურერის სახელი დაანათლეს.

მთელ ამ ოპერაციას მეტად პოეტური სახელი „ედელვაისი“ ერქვა. ამავე სახელწოდებისა იყო დივიზიაც, რომელიც კავკასიონს უტევდა. დივიზიაში მრავალნაცადი მთამსვლელები იყვნენ, მათ შორის ისინიც, რომლებსაც კავკასიონის მწვერვალები დაელაშქრათ. იყვნენ ალპიური ეგერებიც. მათთან იყო „ედელვაისზე“ არანაკლებ პოეტური სახელწოდების მქონე იტალიელთა „თეთრი შროშანა“, იყო რამდენიმე ჩვენი თანამემამულეც, რომლებიც გერმანელთა მხარეს იბრძოდნენ.



ევროპის სახურავზე

მართალია, იალბუზზე გერმანელთა დროშების აფრიალება არც ალპინისტური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი და არც საბრძოლო ხელოვნების განზომილებით, მაგრამ მას დიდ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომაც, როცა მომხდურებმა იალბუზზე დროშები აღმართეს, გერმანიის პროპაგანდამაც უმალ დიდი ხმაური ატეხა, იალბუზის დაპყრობა კავკასიის დაცემას აგვირგვინებსო, მაგრამ მერე იყო გერმანელთა უკანდახევა, იალბუზიდან სვასტიკიანი დროშის ჩამოხსნა და საბჭოთა დროშების აღმართვა.

რაიხსტაგისა არ იყოს, უქართველებოდ არც ამ საქმემ ჩაიარა. იალბუზიდან გერმანელთა დროშა ჩამოხსნეს და საბჭოეთისა ააფრიალეს ბექნუ ხერგიანმა და ალექსანდრე სიდორენკომ, თუმცა, მოდით, მათი სიტყვები გავიხსენოთ:

ბექნუ ხერგიანი:

„1943 წლის დასაწყისში, როცა კავკასიონიდან ფაშისტები განდევნეს, მე და ჩემი ძმა გაბრიელი მესტიიდან სოფელ ბეჩოში გვიხმეს. იქ გვითხრეს, რომ ფაშისტებმა იალბუზზე თავიანთი დროშები დატოვეს, უნდა ავიდეთ და მოვხსნათო. ხელმძღვანელად იმ დროისთვის სპორტის ოსტატი, ლეიტენანტი ნიკოლაი გუსაკი დანიშნეს. მასთან ერთად ოთხი ნალმოსანი იყო.

მეორე დღეს გადავიარეთ ბეჩოს უღელტეხილი და ღამე ბაქსანის ხეობაში გავათიეთ. იქ დაგვხვდა შვიდკაციანი ჯგუფი, რომელშიც ჩვენი თანამემამულე გიორგი სულაქველიძეც იყო. მერე ჩვენი ჯგუფი იალბუზის ფერდობით ყინვარამდე ავიდა. ამასობაში გამოიადარა და კარგად გამოჩნდა „თერთმეტთა თავშესაფარი“. გუსაკმა გვითხრა, რომ მთებში გადარჩენილ გერმანელთა პატარ-პატარა რაზმები კიდევ იყვნენ, ამიტომ ყინვარით ასვლა საშიშიაო. ნალმოსნებმა მოიმიზეზეს, დიდი სიმაღლის გამო თავი გვტკივა და, ეგეც არ იყოს, მთამსვლური ჩვევები არა გვაქვსო. ამის შემდეგ ავდექი და მარტო წავედი თავშესაფრისკენ. რომ მივუახლოვდი, კარებთან ჩავიმუხლე და მივაყურადე. პისტოლეტი გავისროლე, მაგრამ თავშესაფრიდან ჩამიჩუმიც არ გამოსულა. ამის შემდეგ ყველა ამოვიდა.

მეორე დღეს თავშესაფარში მეორე ჯგუფიც ამოვიდა ალექსანდრე გუსევის ხელმძღვანელობით. სულ ოცნი მოვგროვდით. მერე ამინდიც გაფუჭდა და თითქმის მთელი კვირა ამაოდ ვუცადეთ გამოდარებას. გადავწყვიტეთ მწვერვალზე პატარა ჯგუფით ავსულიყავით.

ექვსი კაცი შევიკრიბეთ: ნიკოლაი გუსაკი, იური სმირნოვი, ევგენი ბელეცკი, ალექსანდრე სიდორენკო, მე და ჩემი ძმა გაბრიელი.“

ალექსანდრე სიდორენკო:

„მწვერვალისაკენ 13 თებერვალს, შუაღამისას, სამის ნახევარზე გავუდექით გზას. თოვდა და დასავლეთის ქარი ქროდა. რძესავით ნისლში ორიენტირება ჭირდა. გეზი მარცხნივ ავიღეთ. მე და გაბრიელი რამდენჯერმე ნაპრალებში ჩავცვივდით. ბელეცკის კიდევ მარცხენა ფეხზე წრიაპების ბრჭყალები, ეღუნებოდა. ცხვირპირი ყველას ყინულის თხელი გარსით დაგვეფარა. 10 საათზე და 20 წუთზე უნაგირაზე (5300 მ.) ვიყავით.“

ბექნუ ხერგიანი:

„როცა უნაგირაზე ავედით, ქვებს შორის გერმანელი ოფიცრის საფლავი ვნახეთ. აქედან ტელეფონის კაბელს მივყევით დასავლეთ მწვერვალისკენ და ავედით კიდეც, უფრო სწორედ, ეს მწვერვალი არ იყო, მაგრამ სხვებს ასე ეგონათ. იქ დაგვხვდა ბამბუკის ჯოხი, რომელზეც კაბელი მიემაგრებინათ. აქ ფაშისტების დროშა ვერ ვნახეთ, სამაგიეროდ ჩვენი დროშა დავტოვეთ და დაშვება დავიწყეთ.

გუსაკს ვუთხარი, რომ ჩვენ მწვერვალზე არ ვიყავით, მაგრამ არ დამიჯერა. მითხრა, სამი ზამთარი „თერთმეტთა თავშესაფარში“ გავატარე და დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ ესაა მწვერვალიო. ამის შემდეგ გუსაკმა, ბელეცკიმ და სმირნოვმა დაშვება დაიწყეს. სიდორენკო, გაბრიელი და მე ზემოთ დავრჩით.“

ალექსანდრე სიდორენკო:

„ამ დროს მოულოდნელად ბექნუმ უკან მოიხედა. ღრუბელი ოდნავ გახლეჩილიყო და ბექნუს მახვილმა თვალმა წამით დალანდა რაღაც ორი წერტილი. „მწვერვალი იქაა, ფაშისტთა დროშებიც იქ არის“ — თქვა ჩემმა მეგობარმა.“

ბექნუ ხერგიანი:

„მე და საშა მწვერვალისკენ წავედით. გაბრიელი კი დარჩა. მწვერვალზე ორი დროშა ვნახეთ, ერთი ქარისგან იყო დახეული, მეორე — მთელი. ავიღეთ ორივე და დავეშვით. საღამოს „თერთმეტთა თავშესაფარში“ უნებლად დავბრუნდით. ორივე ჯგუფის მონაწილენი დიდი სიხარულით შეგვხვდნენ, განსაკუთრებით გაიხარეს, როცა ხელში ფაშისტთა დროშები დაგვინახეს. დროშები ჩვენს ხელმძღვანელს გადავეცით. მეორე დღეს მე და გაბრიელმა შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ. ამხანაგები გვირჩევდნენ, დარჩით, კინოფილმს გადავიღებთ, თუ როგორ მოვხსენით ფაშისტთა შტანდარტები და როგორ აღვმართეთ საბჭოთა დროშებიო, მაგრამ ჩვენ ბაქსანის ხეობაში დავეშვით, შემდეგ კი სვანეთში გადავედით.“

ბექნუსა და გაბრიელის დაბრუნებიდან რამდენიმე დღის მერე ქარბუქი დაცხრა და ცა მოიწმინდა. ლილისფერი ზეცის ფონზე ქათქათა, ორთავა იალბუზი გამოჩნდა. მზის სხივებში თვალის მომჭრელად ელვარებდა ბუმბერაზი მთა.

17 თებერვალს მეორე ჯგუფი, რომელშიც გიორგი სულაქველიძეც იყო, ალექსანდრე გუსევის ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ მწვერვალისკენ დაიძრა. იქ არც დროშა დახვდათ და არც ფლაგშტოკი. მეომარმა მთამსვლელებმა იალბუზის მეორე წვერზეც საბჭოთა დროშა ააფრიალეს.

ალექსანდრე გუსევი, ნიკოლაი გუსაკი და ევგენი ბელეცკი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს, ყველა დანარჩენი — მედლით „მამაცობისთვის.“

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები



თერთმეტთა თავშესაფარი 4 200 მეტრის სიმაღლეზე



საერთაშორისო ალპინიადა „ელბრუსიადა-83-ის“ მონაწილეთა ბანაკი 4 200 მეტრზე

ხე რას დააკლებდა... ჯონი უილკინსონი მანქანითაც ურტყამს

„ვარდების“ ოქრო-ბიჭი ჯონი უილკინსონი და მისი გულის ვარდი დაიანა სტიუარტი ავარიში მოჰყვნენ

ინგლისელთა ოქრობიჭი ჯონი უილკინსონი ავტოავარიაში მოჰყვა. ჯადო ჯონი იოლად გადარჩა და სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. სამაგიეროდ, მისი სპორტული „იაგუარი“ მხოლოდ ჯართადღა თუ გამოდგება.

უილკინსონი სამშაბათს, გამთენიისას, ჩრდილოეთ იორკშირში შეასკდა ხეს, როცა წინა დღით ლონდონში გამართული საჩემპიონო გრანდიოზული ალლუმიდან ბრუნდებოდა. „მანქანა დალეწილია, თუმც ჯონის ნაკაწრიც კი არ აქვს. მას აქაც უმართლებს, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. ავარიიდან ორ საათში ჯონი უკვე ვარჯიშზე იყო“ — განაცხადა უილკინსონის აგენტმა დენ კოლინზმა.

როგორც გაირკვა, მანქანაში ჯონის გელფრენდი დაიანა სტიუარტიც იჯდა. და ისიც უვნებელი გადმოვიდა დანჯღრეული მანქანიდან. ყოველი შემთხვევისთვის ჯონი და დაიანა სიმთვრალეზე ავარიიდან ნახევარ საათში შეამოწმეს, პასუხი უარყოფითი იყო.

შელსელების ნაგინები ახალ ზელანდიაში აამაღლეს


„ოლ ბლექსს“ ალბათ გრემ ჰენრის ჩააბარებენ

გადანყვეტილი ამბავია, ახალ ზელანდიას ახალი ნლიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. ეს კაცი უელსის ყოფილი თავკაცი გრემ ჰენრია, რაკი ჯონ მიტჩელის პოსტზე იგი ერთადერთი კანდიდატურაა

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი თავიდან სამ, მოგვიანებით კი ორ კანდიდატურას განიხილავდა. ერთი ვარიანტი იყო, რომ მიტჩელი დაეტოვებინათ, მაგრამ „ოლ ბლექსის“ სპონსორებმა და ზელანდიურმა მედიამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ეგ კაცი უნდა წავიდესო. ჰოდა წავიდა. დარჩა ორი ვარიანტი — ზე 12-ის გუნდ „ჰარიქეინზის“ მოძღვარი კოლინ კუპერი და გრემ ჰენრი.

კუპერმა თავი შორს დაიჭირა, „ოლ ბლექსის“ გაწვრთნა ჩემი ოცნება კია, მაგრამ ახლა საამისოდ შესაფერისი დრო არ არისო. ჰოდა, დარჩა მარტო ლოყებლაჟღაჟა ჰენრი, ვისაც, როგორც უკვე ვთქვით, სანაკრებო გამოცდილება აქვს, მაგრამ უელსიდან სულ გინებით გამოუშვეს, რაკი შარშანწინ „წითელ დრაკონებს“ საშინელი სეზონი ჩაატარებინა.

„როგორც ვიცი, კონტრაქს მარტო ჰენრის ხელმოწერა აკლია, სხვა ყველაფერი შეთანხმებულ-გაფორმებულია“ — თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის ინკოგნიტო ჩინოსანმა.

რეგულარული ჩემპიონატი

გინდათ, იყოთ მაგარი? დალიეთ ნივრიანი რძე

— 9 დეკემბერი —

ვანკუვერი 4:3 პიტსბურგი
0:1 2:1 1:1 1:0
0:1 კრაფტი (10), 1:1 ნესლუნდი (24), 1:2 ბერეჟოვსკი (29), 2:2 ნესლუნდი (34), 3:2 ნესლუნდი (47), 3:3 კრაფტი (54), 4:3 ნესლუნდი (61)

„პიტსბურგს“ ერთმა მოთამაშემ მოუგო. ნესლუნდმა მარტომ დააჩოქა გუნდი, რომელიც ოდესაც მისთვის ლამის მშობლიური იყო. მაშინ „პიტსბურგში“ ნესლუნდს ვერ შეუქმნეს ისეთი პირობები, რომ ახალგაზრდა ფორვარდს თავისი ნიჭი გამოემჟღავნებინა. თუმცა როცა შვედი „პიტსბურგის“ ღირსებას იცავდა, იქ ლემიე, იაგრი და სხვა ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და მას ვინ მიაქცევდა ყურადღებს. მერე გავიდა წლები და დაბეჩავებულ „პინგვინებს“ მრავალჯერ ტრავმირებული მარიოლა შერჩათ. სხვები, მათ შორის ვარსკვლავად ქცეული ნესლუნდი, სხვა გუნდების ქომაგთა გულებს ახარებენ.

ამ მატჩში ნესლუნდი მოედანზე ისე გავიდა, რომ საზარდულის ტრავმა ბოლომდე არც მოუშუშებია, თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა. გოლებიც ერთიმეორეზე ლამაზი გამოუვიდა, განსაკუთრებით გამარჯვების შაიბა, რომელიც ერთობ მოულოდნელი გამოდგა. „მეგონა, პასს აკეთებდა, მაგრამ ისე უეცრად შეცვალა გადაწყვეტილება, რომ შაიბა ფეხებს შუა გამიძვრა“ — ჩიოდა მატჩის შემდეგ „პიტსბურგის“ მეკარე ანდრე ფლერი.

თავად 19 წლის ვუნდერკინდ ფლერისთვის ეს ბოლო მატჩი იყო „პინგვინთა“ რიგებში ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე და, ცხადია, მან ძალიან მოიწადინა, მაგრამ „მსოფლიო კლასის მოთამაშეა. იგი მხოლოდ ნივრის და რძის კოქტეილს შემიძლია შევადარო, ისეთი მაგარია“ — ასე შეაქო ფლერი „პიტსბურგის“ თავკაცმა ედ ოლჩიკმა მატჩის შემდგომ.

აილენდერსი 5:2 ტამპა
0:0 2:2 3:0
0:1 კუბინა (30), 0:2 ფედოტენკო (34), 1:2 ჰანტერი (36), 2:2 ბეიტსი (39), 3:2 მარტიანეკი (44), 4:2 პერიში (49), 5:2 ბლეიკი (60)

„აილენდერსმა“ თავკაც სტივ სტირლინგის გონივრული ტაქტიკური სვლის წყალობით იმარჯვა. მას შემდეგ, რაც სტუმრები 2:0 დაწინაურდნენ, მწვრთნელმა ახალბედა ტრენტ ჰანტერი მაიკ პეკასა და შონ ბეიტსის რგოლში განამწესა და ამ ტრიომ სასწაულებრივ შეატრიალა მატჩის ბედი. ოთხი გოლი ჰანტერის უშუალო მონაწილეობით გავიდა, მატჩის შემდეგ ყველაზე მეტი ქებაც მას შეხვდა. ბიჭუნამ დღეს გუნდის გამოლვიძება მოახერხაო — ამბობდა კმაყოფილი სტირლინგი.

ტორონტო 2:3 სენტ ლუისი
0:0 1:2 1:0 0:1
0:1 რაიკროფტი (28), 0:2 დრეიკი (33), 1:2 სუნდინი (35), 2:2 ნუინდაიკი (60), 2:3 პრონგერი (61)

მიუხედავად რვამატჩიანი მოგებების სერიის შეწყვეტისა, მასპინძლები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ. ჯო ნუინდაიკის ძირითადი დროის ბოლო წამებზე გატანილმა გოლმა მათ ქულა მოუტანა (შეგახსენებთ, რომ ოვერტაიმში დამარცხებული გუნდი 1 ქულას მაინც ინარჩუნებს)

მინესოტა 2:1 კალგარი
0:0 2:0 0:1
1:0 ზიუზინი (24), 2:0 დიუპუი (33), 2:1 ჟელინა (56)

ედმონტონი 2:3 კაროლინა
0:2 0:0 2:1
0:1 მიურეი (12), 0:2 მიურეი (17), 0:3 ვრბატა (42), 1:3 სემიონოვი (57), 2:3 ჰემსკი (60)

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

ხორვატია. 2-14 დეკემბერი. მეორე ეტაპი



ავსტრიელებს აუშრა ფრიდრიკასის (ბურთით) რვა გოლმაც ვერ უშველა

სლავთაბრძოლა სამხრეთელებმა მოიგეს

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე დღემ გვარიანი სენსაციები მოიტანა. ექვსივე მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა — სამი ერთბურთიანი სხვაობით დასრულდა, უდიდესი უპირატესობა კი მხოლოდ ოთხი გოლით გამოიხატა. არცაა გასაკვირი — ასპარეზობას შემორჩენილ დუჟინ მეტოქეთა ძალები თითქმის თანაბარია.

ჯერ მსოფლიოს ჩემპიონთა ჩაფლავებაზე ვთქვათ. შარშანწინდელი ტრიუმფატორი რუსეთი სერბეთ-ჩერნოგორიის ლუკმა გახდა. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, რანგით მაღლა მდგომ სლავთა შეტევებით დაიწყო, ანგარიშიც მათ გახსნეს და ტაიმის ბოლომდეც ერთთავად წინ იყვნენ, მაგრამ ექსიუგოსლაველებმა ჯერ გაუთანაბრეს, ბოლო წუთზე კი ორი ბურთით თავად დაწინაურდნენ — 16:14. ესეც არ იკმარეს და შესვენების შემდეგ ათიოდ წუთში ძირითადად თავიანთ ტანად (183 სმ) სნაიპერ ბოიანა პეტროვიჩის ზუსტი ტყორცნებით ხუთგოლიან უპირატესობას მიაღწიეს — 23:18. საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე ჩემპიონებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და წარმატების იმედიც გაუჩნდათ, მაგრამ იმავე პეტროვიჩისა და ანდრიანა ბუდიმირის ორ-ორი გოლით სერბებმა იძალეს და სენსაციური გამარჯვებაც იზეიმეს — 31:27.

ვერცხლისწყალივით მოძრავ კორეელებისგან მარცხი იწვნია აქამდე მეორე წაუგებელმა საფრანგეთის ნაკრებმაც. მატჩის ბედი პრაქტიკულად დასაწყისშივე გადაწყდა, როცა აზიელებმა ხუთ წუთში მეტოქეს ხუთი უპასუხო ბურთი შეუგდეს — 7:3 და ამის შემდეგ ერთხელაც აღარ მისცეს წამოწევის საშუალება — 27:25.

ესპანელები ავსტრიელებს პირველ ტაიმში ცხრაგოლიანი სხვაობით უგებდნენ — 19:10, მაგრამ შეხვედრის ბოლოს უპირატესობა გაფლანგეს — 25:25, თუმც საბოლოოდ მოგება მაინც მათ დარჩათ — 27:26.

მეორეჯგუფელ ფავორიტ ნორვეგიელებს და უნგრელებსაც გაუჭირდათ, მაგრამ მაინც შეძლეს ორ-ორი ქულის მოპოვება შესაბამისად გერმანიასთან (31:30) და რუმინეთთან (30:27).

ტურნირის უმთავრესი მოულოდნელობა კი უკრაინელთა წარმატებაა. ყველაზე ხანდაზმულმა გუნდმა (საშუალო ასაკი 26,3 წელია), რომელიც ევროპის შარშანდელ პირველობაზე ათეულშიც ვერ მოხვდა, ამჯერად ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგო, ერთხელ ფრეს დასჯერდა და სლოვენიელთა ძლევის (26:25) შემდეგ ნახევარფინალში გასვლის მშვენიერი შანსიც გაუჩნდა.

გია ახალაძე

პირველი ჯგუფი (ზაგრები)

რუსეთი 25:25 ესპანეთი
ავსტრია 25:28 საფრანგეთი
კორეა 33:35 სერბეთი

საფრანგეთი	3	0	1	+6	6
ესპანეთი	2	1	1	+4	5
რუსეთი	2	1	1	+1	5
კორეა	2	0	2	+4	4
სერბეთი	2	0	2	-2	4
ავსტრია	0	0	4	-13	0

მეორე ჯგუფი (რიეკა)

გერმანია 23:25 უკრაინა
უნგრეთი 24:24 ნორვეგია
სლოვენია 30:28 რუმინეთი

უკრაინა	3	1	0	+4	7
უნგრეთი	2	1	1	+13	5
ნორვეგია	2	1	1	+8	5
სლოვენია	2	0	2	-11	4
გერმანია	1	0	3	-1	2
რუმინეთი	0	1	3	-13	1

ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 10 დეკემბერი

A ჯგუფი

ულქერი 62:78 პო ორტეზი

B ჯგუფი

პანათინაიკოსი 91:67 უნიკახა
სკიპერი 95:86 სიენა

C ჯგუფი

ალბა 70:86 ბენეტონი
პამესა 84:71 ტაუ

მოუცლიათ

დიდ სახოვნეთში ახლა ერთთვიანი შესვენებაა და ახლახან დევისთასზე ნახეირალ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს სავოლფოდაც მოუცლია. პიტ სამპრასი კი უკვე წელიწადნახევარია, უჩოგნოდ ცხოვრობს და მთელ დროს ამ დახვეწილ ქალთან ერთად ატარებს. პიტმა და ბრიჯიტმა იმ დღეს ერთი წლის ბიჭუკელა მეზობელ დეიდას დაუტოვეს და თავად ახალი ფილმის სანახავად წავიდნენ. ფოტოც სწორედ ერთ-ერთ ლოსანჯელესურ კინოთეატრშია გადაღებული.



არწივოსნები

კოლორადოულ ბივერ კრიკის ტრასაზე სწრაფდაშვებულთაგან გამარჯვებულებს იმ დღეს აი, ეგრე არწივოსნულად აჯილდოვებდნენ. დიადი ავსტრიელი ჰერმან მაიერი, ფოტოზე რომ ხედავთ, მეორე იყო — მასზე ჩაუქად ნორვეგიელმა ბიარნე სოლბაკენმა ითხილამურა.

დასწრებიან

დიადი ქინიელი მეჯიქ ჯონსონი და ცნობილი ატლანტელი დომინიკ უილკინსონი „პოუკსისა“ და „დენვერ ნაგიტსის“ შეხლას დასწრებიან. კარგია, რომ მეჯიქი კვლავაც ძველებურად ღიმილიანობს.



ირაო

ვიეტნამი სამხრეთაზიურ თამაშებს მასპინძლობს და ყველაზე კარგი სანახავი იმ დღეს ამ იქაური გოგოს, ნგუენ ტა ჰას ტანცაობა იყო. აი, სულ ეგეთ ირაოებსა ჰკრამდა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანანიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლეჟავა, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge